პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 21 (11327)
ქვირა
25
იანვარი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

**სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები მოწმობენ, რომ საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა ახალი შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს კომუნისტური მშენებლობის საქმეში.**

# საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

## საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

სახალხო მეურნეობის განვითარება, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და ცხოვრების კულტურული დონის ამაღლება 1958 წელს ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

### I
### მრეწველობა

იმ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელების შედეგად, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის შესახებ დასახეს, რესპუბლიკის მრეწველობამ მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა. რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკები ჩაებნენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის აღსანიშნავად და ვადამდე შეასრულეს სამრეწველო წარმოების 1958 წლის სახელმწიფო გეგმა.

წარმოების მთლიანი პროდუქციის სახელმწიფო გეგმა რესპუბლიკის მთელმა მრეწველობამ შეასრულა 105 პროცენტით, მინისტრთა საბჭოსადმი დაკვეთდებარებულმა მრეწველობამ — 105 პროცენტით, აქედან სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ — 104,5 პროცენტით და ადგილობრივი საბჭოების მრეწველობამ — 104 პროცენტით.

მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა იმ სამრეწველო საწარმოებმა, რომლებიც აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზეა, შეასრულეს 103 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე — 105 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე — 100 პროცენტით და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე — 106 პროცენტით

საქართველოს სსრ მთელი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 1957 წელთან შედარებით გაიზარდა 11 პროცენტით.

1958 წლს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს თუჯი, ნავთობი, გამქვირველე ნავთობპროდუქტები, ლითონსაჭრელი ჩარხები, მანგანუმის მადანი, მინერალური სასუქები. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია აგრეთვე 1,3 მილიონი პირობითი შიფერის ფილა, 47 ათასი ტონა ცემენტი, 1.744 ათასი მეტრი ბამბის ქსოვილები, 111 ათასი მეტრი შალისა და 1.165 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილები, 543 ათასი წყვილი წინდა, 153 ათასი ცალი საცვლისა და 23 ათასი ცალი ზედა ტრიკოტაჟი, 205 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 133 ტონა უხეში და 2,4 მილიონი კვადრატული დეციმეტრი ქრომის ტყავსაქონელი, 102 ტონა საკონდიტრო ნაწარმი, 68 ტონა მარგარინის პროდუქცია, 2,3 მილიონი პირობითი ქილა კონსერვი, 2.507 ტონა პირველადი დამუშავების ჩაი, 539 ტონა ძეხვეული, 41 ათასი დეკალიტრი ღვინო, 449 ათასი ბოთლი შამპანური, 357 მილიონი ცალი პაპიროსი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივი სამმართველოებისა და ტრესტების და ცალკეულ საწარმოთა მიერ მთლიანი პროდუქციის წარმოების წლიური გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

| | 1958 წლის გეგმის შესრულება პროცენტობით | 1958 წელი 1957 წელთან შედარებით |
|---|---|---|
| მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველო | 105,5 | 105 |
| ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა | 98 | — |
| ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა | 102 | 146 |
| ი. ბ. სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა | 104 | — |
| ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა | 100,3 | 102 |
| მანქანათაშენებელი და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამმართველო | 104 | 121 |
| ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა | 102 | — |
| თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა | 105 | 155 |
| თბილისის თუჯისა და ფოლადის სამსხმელო ქარხანა | 97 | 104 |
| თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხანა | 102 | 124 |
| თბილისის პლასტმასის ქარხანა | 97 | 124 |
| ქუთაისის მანქანათაშენებელი ქარხანა | 106 | 117 |
| ენერგეტიკული მეურნეობის სამმართველო | 100,2 | 119 |
| ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის სამმართველო | 105 | 111 |
| კვაისის მაღაროთასამმართველო | 83 | 80 |
| საქართველოს ქვანახშირის კომბინატი | 97 | 99,8 |
| ტყიბულქვანახშირის ტრესტი | 96 | 97 |
| ტყვარჩელქვანახშირის ტრესტი | 98 | 102 |
| ახალციხის ქვანახშირის მაღაროთასამმართველო | 90 | 101 |
| ჭიათურმანგანუმის ტრესტი | 101 | 108 |
| საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველო | 106 | 111 |
| ი. ბ. სტალინის სახელობის კასპის ცემენტის ქარხანა | 104 | 105 |
| რუსთავის ცემენტის ქარხანა | 107 | 110 |
| თბილისის კერამიკული კომბინატი | 125 | 119 |
| საბურთალოს მშრალი წნეხვის აგურის ქარხანა | 108 | 92 |
| ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველო | 104 | 107 |
| ინგურის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატი | 100,1 | 103 |
| თბილისის ქაღალდის ფაბრიკა | 103 | 103 |
| ბათუმის ფანერის ქარხანა | 108 | 113 |
| თბილისის ავეჯის კომბინატი | 111 | 124 |
| ახმეტის ტყის მრეწველობის მეურნეობა | 106 | 104 |
| გაგრის ტყის მრეწველობის მეურნეობა | 113 | 127 |
| საფეიქრო მრეწველობის სამმართველო | 106 | 106 |
| თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა | 108 | 99,8 |
| თბილისის კამეოლ-მაუდის კომბინატი „საბჭოთა საქართველო“ | 113 | 115 |
| ქუთაისის აბრეშუმკომბინატი | 101 | 109 |
| გორის ბამბეულის კომბინატი | 107 | 115 |
| თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი | 105 | 100,8 |
| მსუბუქი მრეწველობის სამმართველო | 105 | 106 |
| ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის № 1 ტყავის ქარხანა | 105 | 106 |
| ბათუმის ს. მ. კიროვის სახელობის ტყავის ქარხანა | 106 | 113 |
| თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა | 104 | 102 |
| სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი | 108 | 105 |
| თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკა | 105 | 100,7 |
| საქართველოს ჩაის ტრესტი | 107 | 118 |
| საქართველოს თამბაქოს ტრესტი | 104 | 105 |
| საქართველოს მინერალური და ხილის წყლების ტრესტი | 110 | 111 |
| საქართველოს ცხიმეულ-ზეთის ტრესტი | 101 | 96 |
| საქართველოს პურისა და საკონდიტრო მრეწველობის ტრესტი | 103 | 104 |
| საქართველოს კონსერვტრესტი | 105 | 113 |
| სამტრესტი | 109 | 127 |
| საქართველოს ხორცის მრეწველობის ტრესტი | 100 | 89 |
| საქართველოს ყველისა და კარაქის ტრესტი | 109 | 105 |
| საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტი | 75 | 66 |

ზოგიერთმა საწარმომ და ტრესტმა, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა რა მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმა, ვერ შეასრულა ნატურალური გამოხატულებით ცალკეულ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმა. მაგალითად, ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულმა ქარხანამ ვერ შეასრულა ფოლადისა და ნაგლინის წარმოების გეგმა, ქუთაისის ლიტოპონის ქარხანამ—მშრალი ლიტოპონის, ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანამ — ავტომობილის მოტორების ქ-120, თბილისის ელმავალსაშენებელმა ქარხანამ — მაგისტრალური 5-8 ელმავლების, ქუთაისის მანქანათასაშენებელმა ქარხანამ — კიდული ვაგონეტების პვ-1 მ, ი. ბ. სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადასამუშავებელმა ქარხანამ — სპეციალური ნავთის, დიზელის სათბობის, სათბობი მაზუთის მთლიანი პროდუქციის, თბილისის № 2 ტყავის ქარხანამ და სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატმა — ქრომის ტყავსაქონლის წარმოების გეგმა.

სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით, მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმის გადაჭარბებით შესრულებულ, მნიშვნელოვანი რაოდენობის საწარმოებმა ვერ უზრუნველყვეს გეგმის შესრულება. სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა საერთო რიცხვიდან წლიური გეგმა ვერ შეასრულა 74 საწარმომ ანუ 16 პროცენტმა.

თუჯისა და ფოლადის სხმულის, ნაჭედისა და ტვიფრვის კოოპერირებული მიწოდების გეგმა როგორც რესპუბლიკის ფარგლებში, ისე სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა მიერ სხვა ეკონომიურ და ადმინისტრაციულ რაიონებში შესრულებული არ არის. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად შეასრულეს კოოპერირებულ მიწოდებათა გეგმა თუჯისა და ფოლადის სამსხმელო ქარხანამ—თუჯისა და ფოლადის ჩამოსხმის დარგში, ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელმა ქარხანამ — ნაჭედის და ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანამ — ტვიფრვის დარგში.

მრეწველობის ცალკეული დარგების მთლიანი პროდუქციის წარმოების ზრდის ტემში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

| | 1958 წელი 1957 წელთან შედარებით პროცენტობით |
|---|---|
| შავი მეტალურგია | 104 |
| ფერადი მეტალურგია | 93 |
| ქვანახშირის მრეწველობა | 93 |
| ნავთობმომპოვებელი მრეწველობა | 103 |
| ნავთობგადასამუშავებელი მრეწველობა | 102 |
| ელექტროსადგურები | 118 |
| მანქანათაშენებლობა და ლითონდამუშავება | 119 |
| ქიმიური მრეწველობა | 121 |
| ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდასამუშავებელი მრეწველობა | 109 |
| საშენ მასალათა წარმოება | 122 |
| მსუბუქი მრეწველობა | 107 |
| აქედან: | |
| საფეიქრო მრეწველობა | 107 |
| კვების მრეწველობა | 113 |
| აქედან: | |
| ხორცის მრეწველობა | 89 |
| კარაქის, ყველის და რძის სხვა პროდუქტების წარმოება | 105 |
| ღვინის წარმოება | 130 |
| ჩაის წარმოება | 118 |
| ძეხვეულის წარმოება | 99,4 |
| თამბაქოს წარმოება | 195. |

მრეწველობის ძირითად სახეობათა პროდუქციის წარმოება რესპუბლიკაში მთლიანად ნატურალური გამოხატულებით ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

| | წარმოებულია 1958 წელს | წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით | 1958 წელი 1957 წელთან შედარებით პროცენტობით |
|---|---|---|---|
| მანგანუმის მადანი | | 100,5 | 105 |
| ქვანახშირი ათასობით ტონა | 3014 | 98 | 102 |
| კოქსი | — | 101 | 101 |
| თუჯი | — | 100,1 | |
| ფოლადი | — | 95 | |
| ნაგლინი | | 95 | |
| ელექტროენერგია — მილიონ კილოვატსაათობით | 2960 | 97 | 115 |
| სატვირთო ავტომობილები | | 103 | |
| ცემენტი ათასობით ტონა | 1070 | 105 | 104 |
| შიფერი მილიონობით პირობითი ფილა | 37 | 104 | 106 |
| აგური (დამხმარე საწარმოთა და კოლმეურნეობათა წარმოების ჩაუთვლელად) მილიონობით ცალი | 311 | 103 | 114 |
| ქაღალდი — ათასობით ტონა | 30 | 99,6 | 99,9 |
| ბამბის ქსოვილები — მილიონობით მეტრი | 48 | 104 | 103 |
| შალის ქსოვილები მილიონობით მეტრი | 5 | 103 | 103 |
| აბრეშუმის ქსოვილები მილიონობით მეტრი | 20 | 106 | 107 |
| წინდა — მილიონობით ცალი | 9 | 100 | 113 |
| საცვლის ტრიკოტაჟი — მილიონობით ცალი | 8 | 99 | 111 |
| ზედა ტრიკოტაჟი — მილიონობით ცალი | 2 | 123 | 117 |
| ტყავის ფეხსაცმელი — მილიონობით ცალი | 10 | 105 | 106 |
| პიანინო და როიალი — ათასობით ცალი | 2 | 100,9 | 144 |
| თევზჭერა (სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოების ხაზით) — ათასობით ტონა | 5 | 87 | 93 |
| ხორცი 1 კატეგორიის სუბპროდუქტების ჩათვლით (სამრეწველო გამომუშავება კოოპერაციული მრეწველობის საწარმოთა ჩაუთვლელად) — ათასობით ტონა | 20 | 99 | 84 |
| კარაქი (კოლმეურნეობების წარმოებისა და მოსახლეობის შინაწარმოების ჩაუთვლელად) — ათასობით ტონა | 1 | 100,6 | 89 |
| ყველი (კოლმეურნეობათა წარმოების ჩაუთვლელად) — ათასობით ტონა | 6 | 101 | 105 |
| მარგარინის ნაწარმი— ათასობით ტონა | 14 | 100,5 | 93 |
| კონსერვები (სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოების ხაზით) — მილიონობით პირობითი ქილა | 94 | 103 | 103 |
| საკონდიტრო ნაწარმი — ათასობით ტონა | 16 | 103 | 95 |
| მაკარონის ნაწარმი ათასობით ტონა | 14 | 100,2 | 98 |
| ჩაი — ათასობით ტონა | 39 | 107 | 113 |
| ფხვნილი შაქარი — ათასობით ტონა | 15 | 101 | 127 |
| პაპიროსი — მილიარდობით ცალი | 13 | 103 | 106 |
| ყურძნის ღვინო — მილიონობით დეკალიტრი | 6 | 100,3 | 114 |
| შამპანური — მილიონობით ბოთლი | 6 | 108 | 108 |
| საპონი (სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოების ხაზით) —ათასობით ტონა | 13 | 100,3 | 101 |

ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულმა ქარხანამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა ბრძმედების მარგი მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი, რამაც 1958 წელს შეადგინა 0,749 1957 წლის 0,794-ის ნაცვლად. გადიდდა აგრეთვე მარტენის ღუმელების ქვედის ერთი კვადრატული მეტრი ფართობიდან ფოლადის გადმოღება. მაგალითად. 1958 წელს ფოლადის გადმოღება მარტენის ღუმელების ქვედის ერთი კვადრატული მეტრი ფართობიდან შეადგენდა 6,35 ტონას 1957 წლის 6,14 ტონასთან შედარებით.

შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1958 წელს გადიდდა 1957 წელთან შედარებით 7 პროცენტით, მათ შორის სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობის ხაზით — 8 პროცენტით, ადგილობრივი საბჭოების მრეწველობის ხაზით — 6 პროცენტით.

წლის მეორე ნახევარში შეიქმნა რესპუბლიკის მრეწველობის ახალი დარგების — ხელსაწყოთმშენებლობისა და ელექტროტექნიკური დარგების მთელი რიგი საწარმოები, რომლებმაც მნიშვნელოვანი მუშაობა განახორციელეს წარმოების ორგანიზაციისა და კადრების მომზადებისათვის.

ამ საწარმოებმა პირველად გამოუშვეს ისეთი სახეობის პროდუქციის ნიმუშები და პარტიები, როგორიც არის ელექტროვიბრაციული მანქანა ფხვიერი ტვირთის ტრანსპორტირებისათვის, 750 კილოგრამი ტვირთამწეობის ელექტროკარები, დენის მოძრავი შესადუღი გარდამქმნელი პს-500 და სხვ.

1958 წელს რესპუბლიკაში შეიქმნა 42 ტიპის ახალი სახეობის მანქანა, კერძოდ დაიწყო 6-8 მოდელის რვა ღერძიანი მაგისტრალური ელექტრომავლების სერიული წარმოება; ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში დაიწყო 5 და 8 ტონა ტვირთამწეობის ახალი ტიპის სატვირთო ავტომანქანების წარმოება; კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელმა ქარხანამ აითვისა ახალი მოდელის უნივერსალური ორ მოდიფიკაციანი სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხის „163“ სერიული გამოშვება; ქუთაისის მანქანათასაშენებელმა ქარხანამ აითვისა სიღრმული არტეზიული ტუმბოს ატნ-14 გამოშვება; რუსთავის მექანიკური ქარხანა ამზადებდა კოშკური ხუთტონიან ამწეებს; ქარხანამ „ელექტროძრავამ“ მოაწყო უნივერსალური მანქანების გამოშვება ჩაის მეურნეობისათვის. მანქანებს აქვთ კიდული იარაღების კომპლექტი; თბილისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანამ გამოუშვა ავტომატური ხაზი ბოთლებში ჩამოსხმისა და თავის დაცობისათვის, მათი მწარმოებლურობა 1.500-დან 3.000-მდე ბოთლი საათში; მეღვინეობის მრეწველობამ დაიწყო ახალი სორტის ღვინოების — „საამოს“, „ახმეტას“, „ახაშენის“ გამოშვება; მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში დაინერგა ახალი სახეობის ქსოვილები და ახალი მოდელის შეკერილი ნაწარმი და ფეხსაცმელი.

1958 წელს წინასწარი მონაცემებით რვა ათასამდე გამომგონებელმა და რაციონალიზატორმა შეიტანა 12 ათასზე მეტი წინადადება. სახალხო მეურნეობაში დაინერგა 4.800-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება. გასულ წელს ამ წინადადებათა დანერგვის შედეგად მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 50 მილიონზე მეტი მანეთი.

მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯების დონის გეგმა, რომელიც დაწესებული ჰქონდა სახალხო მეურნეობის საბჭოს 1958 წლისათვის, წინასწარი მონაცემებით შესრულებულია გადაჭარბებით. მთელი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით ზეგეგმითმა ეკონომიამ შეადგინა რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი.

### II
### სოფლის მეურნეობა

ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წელი) და შემდგომი პლენუმების ისტორიულ გადწყვეტილებებს და პარტიის XX ყრილობის დადგენილებებს, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა 1958 წელს მოიპოვეს ახალი წარმატებანი.

1958 წელს მთლიანად რესპუბლიკაში გადიდდა სიმინდის, მზესუმზირას, ბოსტნეული და საკვები კულტურების ნათესები. გადიდდა აგრეთვე სიმინდის ხვედრითი წონა საერთო ნათეს ფართობში.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით დაამთავრეს საშემოდგომო მარცვლეული კულტურების თესვა 1959 წლის მოსავლისათვის. საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა გადაჭარბებითაა შესრულებული.

გასულ წელს მიღებულია მეტი წილი კულტურების კარგი მოსავალი.

მიღებულია ჩაის, ყურძნის, ხილისა და ციტრუსების უხვი მოსავალი.

მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალში 1958 წელს მიღებულია სრული და რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის სიმინდის მარცვალი გამხმარ მარცვალზე გადაყვანით მნიშვნელოვნად მეტი, ვიდრე 1953 წელს. სიმინდის მარცვლის წარმოების მოცულობამ გადააჭარბა აგრეთვე 1957 წლის მოსავალს. მაგრამ სიმინდის ნათესების გამოყენებაში ჯერ კიდევ არის დიდი ნაკლოვანებანი. სიმინდის ნათესების მნიშვნელოვან ფართობებს იღებენ რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის ტროიტის გაკეთებამდე ე. ი. მარცვლის მიუღებლად.

1958 წელს კვლავ უმჯობესდებოდა მეცხოველეობის მდგომარეობა რესპუბლიკაში.

პირუტყვის სულადობის ზრდა ყველა კატეგორიის მეურნეობებში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით (ათასი სული წლის დამლევისათვის).

| | 1953 წელი | 1957 წელი | 1958 წელი (წინასწარი მონაც.) | 1958 წელი პროცენტობით 1953 წელთან შედარებით | 1958 წელი პროცენტობით 1957 წელთან შედარებით |
|---|---|---|---|---|---|
| მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი | 1373 | 1415 | 1492 | 109 | 105 |
| აქედან ძროხა | 456 | 496 | 558 | 122 | 112 |
| ღორი | 520 | 579 | 600 | 115 | 104 |
| ცხვარი და თხა | 2503 | 1943 | 2055 | 82 | 106 |

უკანასკნელ ხუთ წელიწადში პირუტყვის სულადობა ყველა კატეგორიის მეურნეობებში გადიდდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 119 ათასი სულით, აქედან ძროხისა — 102 ათასი სულით, ღორის სულადობა — 80 ათასი სულით. 1957 წელთან შედარებით ცხვრისა და თხის სულადობა გადიდდა 112 ათასი სულით.

ამავე წლებში გადიდდა ხორცის, რძის, მატყლისა და კვერცხის წარმოება.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდა რესპუბლიკაში ჩანს შემდეგი მონაცემებით:

| | 1953 წელი | 1958 წელი (წინასწარი მონაც.) | 1958 წელი პროცენტობით 1953 წელთან შედარებით |
|---|---|---|---|
| ხორცი დაკლული პირუტყვის წონით — ათასობით ტონა | 73 | 84 | 115 |
| რძე — ათასობით ტონა | 335 | 422 | 126 |
| კვერცხი — მილიონობით ცალი | 180 | 247 | 137 |

ხორცის წარმოება მთლიანად რესპუბლიკაში 1958 წელს 1953 წელთან შედარებით გადიდდა 11 ათასი ტონით, რძისა — 87 ათასი ტონით, კვერცხისა — 67 მილიონი ცალით.

1958 წელს 1953 წელთან შედარებით ერთი ძროხის საშუალო წლიური წველადობა კოლმეურნეობებში გადიდდა 2-ჯერ და უფრო მეტად, კვერცხდება გაიზარდა ერთიორად.

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად რესპუბლიკაში გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად გამოყენებული კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული შესაძლებლობანი პირუტყვის სულადობის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების უფრო სწრაფი ზრდისათვის. სუსტად არის გამოყენებული აგრეთვე არსებული შესაძლებლობანი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორების ბაგაზე და საძოვრებზე გასუქებისათვის.

ძროხის ხვედრითი წონა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯოგში ჯერ კიდევ დაბალია.

გასულ წელს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კვლავ განამტკიცებდნენ მეცხოველეობის საკვებ ბაზას.

საკვები კულტურების ნათესები გადიდდა ერთიორად და უფრო მეტად.

1958 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩადებულია 1,4 მილიონ ტონაზე მეტი სილოსი, რაც 1957 წელთან შედარებით მეტია თითქმის 0,5 მილიონი ტონით. საშუალოდ ძროხაზე ჩადებულია თითქმის 5-ჯერ მეტი სილოსი, ვიდრე 1953 წელს.

შესრულებულია თიბვის გეგმა. მაგრამ უხეშში საკვების, მათ შორის თივის დამზადების გეგმა მთლიანად არ არის შესრულებული.

ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული საკვები ბაზის შემდგომი გადიდების შესაძლებლობანი.

მთელ რიგ რაიონებში ჯეროვნად ვერ აფასებენ სიმინდსა და სოიას, რის შედეგად ბევრი კოლმეურნეობა იღებს როგორც მარცვლს, ისე მწვანე მასის დაბალ მოსავალს.

1958 წელს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით. 1958 წელს დამზადებულია 24 ათასი ტონით მეტი მწვანე ჩაის ფოთოლი, ვიდრე 1957 წელს.

დიდი გადაჭარბებით შესრულდა ყურძნის, ხილისა და ციტრუსების დამზადების გეგმა. ყურძნის დამზადების გეგმა შესრულებულია 117 პროცენტით, ხილისა — 146 პროცენტით, ციტრუსებისა — 147 პროცენტით. 1958 წელს დამზადებულია ყურძენი 42 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1957 წელს, ხილი — 23 ათასი ტონით და ციტრუსები 7 ათასი ტონით მეტი.

ხორცის სახელმწიფო დამზადებამ ცოცხალი პირუტყვის წონით შეადგინა 38 ათასი ტონა, რძის დამზადებამ — 104 ათასი ტონა და კვერცხის დამზადებამ — 45 მილიონი ცალი.

ხორცის დამზადების გეგმა კოლმეურნეობებმა შეასრულეს 114 პროცენტით, რძისა — 103 პროცენტით, კვერცხისა — 110 პროცენტით, მატყლისა — 91 პროცენტით.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების ხვედრითმა წონამ საერთო დამზადებაში 1958 წელს შეადგინა: ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადებაში — 95 პროცენტი, ყურძნის — 53 პროცენტი, ციტრუსების — 78 პროცენტი, ხორცის — 75 პროცენტი, რძის — 80 პროცენტი, კვერცხის — 55 პროცენტი, მატყლის — 75 პროცენტი.

1958 წელს განხორციელდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია. კოლმეურნეობებმა აყიდეს 2 ათასზე მეტი ტრაქტორი, ანუ იმ რაოდენობის 62 პროცენტი, რაც ჰქონდათ მტს-ებს 1958 წლის 1 იანვრისათვის, ათასამდე ცალი კომბაინი, ანუ 70 პროცენტი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

1958 წელს გრძელდებოდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება.

ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ მიიღო ახალი ტექნიკა — ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობა. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ მიიღო აგრეთვე მნიშვნელოვანი რაოდენობის მინერალური სასუქი, უმთავრესად ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებისათვის.

### III
### კაპიტალური მშენებლობა

სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციათა (გარდა კოლმეურნეობებისა) კაპიტალდაბანდების მოცულობამ 1958 წელს შეადგინა 2580 მილიონი მანეთი და გადაჭარბა 1957 წლის კაპიტალდაბანდებას 17 პროცენტით.

კაპიტალური დაბანდების სახელმწიფო გეგმა 1958 წელს შესრულებულია 97 პროცენტით, აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა — 98 პროცენტით, საბინაო მშენებლობისა — 100,7 პროცენტით. კაპიტალური დაბანდების სახელმწიფო გეგმა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში შესრულებულია 96 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 93 პროცენტით და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 75 პროცენტით.

კაპიტალური დაბანდების, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და საბინაო მშენებლობის სახელმწიფო გეგმის შესრულება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივ სამმართველოებსა და ტრესტებში, აგრეთვე რესპუბლიკის ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებებში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

| | წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით | | |
|---|---|---|---|
| | კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა | სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები | სამუშაოები საბინაო მშენებლობაში |
| სახალხო მეურნეობის საბჭო | 94 | 95 | 100,5 |
| მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველო | 100,1 | 100,4 | 126 |
| მანქანათასაშენებელი და ელექტრო-ტექნიკური მრეწველობის სამმართველო | 80 | 73 | 105 |
| ენერგეტიკული მეურნეობის სამმართველო | 94 | 99,9 | 80 |
| ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის სამმართველო | 103 | 100,3 | 95 |
| საქართველოს ქვანახშირის კომბინატი | 100 | 100,7 | 91 |
| ჭიათურის მანგანუმის ტრესტი | 79 | 79 | 70 |
| საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველო | 100,9 | 107 | 156 |
| საფეიქრო მრეწველობის სამმართველო | 104 | 104 | 104 |
| ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველო | 97 | 106 | 102 |
| მსუბუქი მრეწველობის სამმართველო | 109 | 103 | 110 |
| ტრანსპორტის სამმართველო | 108 | 104 | — |
| საქართველოს ჩაის ტრესტი | 100 | 113 | 136 |
| სამტრესტი | 102 | 104 | 106 |
| საქართველოს თამბაქოს ტრესტი | 112 | 120 | 95 |
| საქართველოს მინერალური და ხილის წყლების ტრესტი | 106 | 103 | 110 |
| საქართველოს ცხიმეულ-ზეთის მრეწველობის ტრესტი | 103 | 98 | 104 |
| საქართველოს პურისა და საკონდიტრო მრეწველობის ტრესტი | 127 | 109 | 168 |
| საქართველოს ეთერზეთოვანი მრეწველობის ტრესტი | 104 | 104 | 104 |
| საქართველოს კონსერვტრესტი | 118 | 84 | 100 |
| საქართველოს ხორცის მრეწველობის ტრესტი | 107 | 101 | 102 |
| საქართველოს ყველისა და კარაქის მრეწველობის ტრესტი | 106 | 108 | — |
| საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტი | 100 | 96 | 119 |
| სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 101 | 111 | 118 |
| წყალთა მეურნეობის სამინისტრო | 99 | 102 | 86 |
| ვაჭრობის სამინისტრო | 103 | 111 | 80 |
| ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო | 94 | 96 | 91 |
| კავშირგაბმულობის სამინისტრო | 103 | 85 | 80 |
| მშენებლობის სამინისტრო (საკუთარი მშენებლობა) | 103 | 116 | 99 |
| საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო | 99.5 | 101 | 116 |
| განათლების სამინისტრო | 101 | 102 | 77 |
| კულტურის სამინისტრო | 100 | 93 | 75 |
| სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო | 97 | 90 | — |
| გზატაკცილების მთავარი სამმართველო | 98 | 73 | 30 |
| პურის პროდუქტების მთავარი სამმართველო | 115 | 99,1 | 95 |
| ადგილობრივი საბჭოები | 102 | 102 | 102 |

კაპიტალური დაბანდების მოცულობამ საბინაო მშენებლობაში სახელმწიფო გეგმით გამოყოფილი სახსრების ხარჯზე შეადგინა 419 მილიონი მანეთი. სახელმწიფო და კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს 67 პროცენტით მეტი საცხოვრებელი ფართობი, ვიდრე 1957 წელს.

გასულ წელს სულ საექსპლოატაციოდ გადაეცა საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობი სახელმწიფო და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ხაზით 643 ათასი კვადრატული მეტრი. გარდა ამისა, კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენციამ აშენეს 12.2 ათასი საცხოვრებელი სახლი.

ვერ შეასრულეს საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა: ენერგეტიკული მეურნეობის სამმართველომ (გეგმა შესრულებულია 52 პროცენტი), ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის სამმართველომ (57 პროცენტი), ჭიათურის მანგანუმის ტრესტმა (47 პროცენტი), საქართველოს მინერალური და ხილის წყლების ტრესტმა (61 პროცენტი), განათლების სამინისტრომ (65 პროცენტი), წყალთა მეურნეობის სამინისტრომ (39 პროცენტი), კულტურის სამინისტრომ (25 პროცენტი), ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ (3 პროცენტი).

1958 წელს რესპუბლიკაში აშენდა 15 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა 6.870 მოსწავლისათვის და საავადმყოფოები 200 საწოლით.

საბჭოთა კავშირის კომ

# საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

## საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

(დახასრული)

ლებისათვის რესპუბლიკაში გაიშალა მნიშვნელოვანი მუშაობა ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების საწარმოო ბაზის შესაქმნელად. კაპიტალურმა დაბანდებამ ქიმიურ მრეწველობაში 1958 წელს შეადგინა 37,5 მილიონი მანეთი.

გასულ წელს სახალხო მეურნეობის საბჭომ და ადგილობრივმა საბჭოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა განახორციელეს მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეთა გადიდებისათვის. საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ითხვისის მაღაროს მეორე რიგი ჭიათურაში, ელექტროლიზური საამქრო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, გუმათის პირველი ჰიდროელექტროსადგური, თბოელექტროსადგური ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, საყონდიტრო კომბინატი ქალაქ თბილისში, რომელიც აწარმოებს 12,5 ათასი ტონა საყონდიტრო ნაწარმს წელიწადში, 1100 ტონა ტკბილეულობა, 50 ათასი დეკალიტრი ტკბილეულობის ღვინის სარდაფები, 9600 ტონა ტკბილეულობის მარცვლეულის საწყობები და ბევრი სხვა საწარმო.

1958 წელს მიმდინარეობდა სამშენებლო ინდუსტრიის შემდგომი განვითარება. გაიზარდა სამშენებლო ორგანიზაციათა აღჭურვილობა **მექანიზმებით.**

რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებმა სიჯარო სამუშაოთა პროგრამა შეასრულეს 103 პროცენტით, მათ შორის მშენებლობის სამინისტრომ — 103 პროცენტით, მთავარსამხედროსამშენმა — 100,3 პროცენტით, ხოლო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მოიჯარე ორგანიზაციებმა — 110 პროცენტით. 1957 წელთან შედარებით რესპუბლიკის მოიჯარე ორგანიზაციების მიერ შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა გადიდდა 15 პროცენტით.

## IV
## ტრანსპორტი

ამიერკავკასიის რკინიგზამ (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე) ტვირთის ჩატვირთვის წლიური გეგმა შეასრულა 103 პროცენტით, აქედან შავი ლითონებისა — 117 პროცენტით, ქვანახშირისა — 104 პროცენტით, მანგანუმის მადნისა — 104 პროცენტით, მინერალური საშენი მასალებისა — 125 პროცენტით, პურეულის ტვირთისა — 106 პროცენტით. მთლიანად არ არის შესრულებული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვის გეგმა. 1957 წელთან შედარებით ტვირთის გადაზიდვა გაიზარდა 7 პროცენტით და მეტად.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტმა 1958 წელს გადაზიდა 10 მილიონ ტონაზე მეტი ტვირთი, ამასთან შესრულებულია 160 მილიონ ტონა-კილომეტრამდე. ტვირთის გადაზიდვის წლიური გეგმა შესრულებულია ტონობით 111 პროცენტით, ტონა-კილომეტრობით — 101 პროცენტით. წარშანდულთან შედარებით ტვირთის გადაზიდვის ზრდამ შეადგინა ტონობით 22 პროცენტი. ტონა-კილომეტრობით — 17 პროცენტი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საავტომობილო ტრანსპორტმა ტვირთის გადაზიდვის გეგმა შეასრულა ტონობით 112 პროცენტით, ტონა-კილომეტრობით — 113 პროცენტით.

მაგრამ სატვირთო ავტომობილების მოცდენა და ცარიელი გარბენა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია.

1958 წელს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და თბილისის ქალაქის აღმასკომის ავტობუსებმა გადაიყვანეს 170 მილიონზე მეტი მგზავრი და შეასრულეს დაახლოებით 1 მილიარდი მგზავრ-კილომეტრი. მგზავრთა გადაყვანის გეგმა ავტობუსებს შესრულებული აქვთ 104 პროცენტით. მგზავრთა გადაყვანა 1957 წელთან შედარებით 7 პროცენტით გაიზარდა.

1958 წელს რესპუბლიკაში კაპიტალური და საშუალო რემონტი გაუკეთდა დაახლოებით 3 ათასი კილომეტრი საერთო სიგრძის საავტომობილო გზებს, რამაც შეადგინა საგეგმო დავალების 116 პროცენტი, აქედან მაგარი საფარით — 2,5 ათას კილომეტრს ანუ გეგმის 115 პროცენტს.

## V
## საქონელგრუნვა

1958 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის მიერ სასურსათო და არასასურსათო საქონლის შესყიდვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობამ (გარდა სამომხმარებლო კოოპერაციის საკომისიო ვაჭრობისა) 1958 წელს შეადგინა 10,8 მილიარდი მანეთი და 1957 წელთან შედარებით შესადარ ფასებში გადიდდა 665 მილიონი მანეთით, ანუ 7 პროცენტით.

საცალო საქონელბრუნვა სამომხმარებლო კოოპერაციისა, რომელიც ვაჭრობას ახორციელებს სოფლად, 8 პროცენტით გაიზარდა: სამომხმარებლო კოოპერაციის საკომისიო ვაჭრობის ბრუნვამ 1958 წელს შეადგინა 253,3 მილიონი მანეთი და 1957 წელთან შედარებით შესადარ ფასებში გადიდდა 9 პროცენტით.

საქონელბრუნვის წლიური გეგმა საქართველოს სსრ სავაჭრო ორგანიზაციებმა შეასრულეს 103 პროცენტით, აქედან საცალო სავაჭრო ქსელის საქონელბრუნვა — 103 პროცენტით, საზოგადოებრივი კვების ბრუნვა — 103 პროცენტით.

ძირითად სავაჭრო ორგანიზაციებში საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

| | საცალო საქონელბრუნვის 1958 წლის გეგმის შესრულების პროცენტი | 1958 წელი პროცენტებით 1957 წელთან შედარებით |
|---|---|---|
| ვაჭრობის სამინისტრო | 102 | 107 |
| სამომხმარებლო კოოპერაცია | 104 | 109 |
| სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშათა მომარაგების სამმართველო | 104 | 109 |
| ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების სამმართველო | 105 | 106 |
| საქართველოს წიგნის ვაჭრობა „საქწიგნი“ | 111 | 111 |
| „სავსოიუზპრიტი“ | 111 | 115 |

ზოგიერთმა სავაჭრო ორგანიზაციამ ვერ შეასრულა საქონელბრუნვის წლიური გეგმა. მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარმა საფთიაქო სამმართველომ გეგმა 95 პროცენტით შეასრულა, საქიუველირვაჭრობამ — 82 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდისა და მათი დამზადების მოცულობის გადიდების შედეგად 1958 წელს გაიზარდა ხორცისა და რძის პროდუქტების სახელმწიფო რესურსები. ამან შესაძლებელი გახადა გადიდებულიყო მოსახლეობისათვის ხორცისა და ხორცპროდუქტების, რძის და რძის პროდუქტების. ცხოველის ცხიმეულის მიყიდვა.

არასასურსათო საქონლიდან გაიზარდა აბრეშუმის ქსოვილების, შეკერილი და ტრიკოტაჟის საქონლის. ტყავისა და რეზინის ფეხსაცმლის, რადიომიმღებების, ტელევიზორების, საკერავი და სარეცხი მანქანების და სხვა საქონლის მიყიდვა.

მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, მოსახლეობის მოთხოვნილება ზოგიერთი სახეობის საქონელზე, კერძოდ, ბამბეულის ქსოვილებსა და ტყავის ფეხსაცმელზე ჯერ ჯერობით სრულიად ვერ კმაყოფილდება. სახანო მშენებლობის მნიშვნელოვან ზრდასთან დაკავშირებით მკვეთრად გაიზარდა მოსახლეობის მოთხოვნილება ალეჯზე, მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნილება ალეჯზე ჯერ კიდევ ვერ კმაყოფილდება საკმარისად.

გადიდდა საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რაოდენობა, მაგრამ არსებული სავაჭრო ქსელი მაინც არ არის საკმარისი.

1958 წელს გადიდდა ადგილობრივი წყაროების საქონლის მიღება სავაჭრო ქსელში. ადგილობრივმა მრეწველობამ და სარეწაო კოოპერაციამ 15 პროცენტით გადიდეს თავთავი მოხმარების საქონლის მიწოდება 1957 წელთან შედარებით. მაგრამ სავაჭრო ქსელში ადგილობრივი წყაროების საქონლის მიღება ჯერ კიდევ საკმარისი არ არის.

საკოლმეურნეო ბაზრებში 1957 წელთან შედარებით გადიდდა კარტოფილის, ბოსტნეულის, ახალი ხილის, ყურძნის, ძროხის ხორცისა და ცხვრის ხორცის, რძის, ყველის, კვერცხისა და სხვა პროდუქტების გაყიდვა.

## VI
## მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი და ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლება

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა საერთო წლიურმა რიცხვმა 1958 წელს წინასწარი მონაცემებით შეადგინა 814 ათასი კაცი და წლის განმავლობაში გადიდდა 34 ათასზე მეტი კაცით.

მრეწველობაში, მშენებლობაში, საბჭოთა მეურნეობებში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა რიცხვი 23 ათასი კაცით გადიდდა. სკოლების, სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამკურნალო და სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა მუშაკების რიცხვი გადიდდა 10 ათასზე მეტი კაცით, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, დამზადების, მატერიალური მომარაგების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკთა რიცხვი — 5 ათასამდე კაცით.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, კოლმეურნეობებში სამუშაოდ მტს-ებიდან გადავიდა სატრაქტორო ბრიგადების მუშათა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რის გამო აღნიშნულ მუშაკთა რიცხვი სახელმწიფო მეურნეობაში 9 ათასი კაცით შემცირდა.

დიდდება რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის ხვედრითი წონა. გასული წლის დამლევს მან შეადგინა საქართველოს სსრ მუშა-მოსამსახურეთა მთელი რიცხვის 87 პროცენტი.

გასულ წელს მრეწველობამ, მშენებლობამ, ტრანსპორტმა და სოფლის მეურნეობამ მიიღო 4 ათასზე მეტი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა, რომლებიც მოამზადეს საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს სკოლებმა და სასწავლებლებმა.

მოსახლეობამ სახელმწიფოს ხარჯზე 1958 წელს მიიღო მეტი, ვიდრე წინა წელს, დახმარება და სხვა თანხები მუშა-მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევით, სოციალური უზრუნველყოფის პენსიები, დახმარება მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის, უფასოდ და შეღავათიან ფასებში სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები, სტიპენდიები, უფასო სწავლება და სხვა შეღავათები.

წარსწარი მონაცემებით, 1958 წელს კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 1957 წელთან შედარებით 15 პროცენტით გადიდდა. გადიდდა ავარდავე კოლმეურნეებისათვის ფულის მიცემა შრომადღეზე კოლმეურნეობებში მუშაობისათვის.

1958 წელს მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა ფულადი შემოსავლის ზრდასთან დაკავშირებით გადიდდა მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში.

ყველა სახეობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობს 659 ათასზე მეტი კაცი, უმაღლეს სასწავლებლებში, დაუსწრებელთა ჩათვლით, სწავლობს 43 ათასზე მეტი კაცი, ტექნიკუმებსა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 25 ათასი კაცი.

მიღწეულია ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება.

1958 წელს შემოკლებული სამუშაო დღე შემოღებულია შავი მეტალურგიის, ქვანახშირის მრეწველობის საწარმოებში, სამენ მასალათა მრეწველობის ცემენტის ქარხნებში. მზადდება შემოკლებული სამუშაო დღის შემოღება ქიმიური მრეწველობის საწარმოებში. შემოკლებული დღის შემოღება ხდება მუშა-მოსამსახურეთა ხელთასის შეუმცირებლად.

მიმდინარეობდა ქალაქ თბილისის გაზიფიკაციის სამუშაოები. 1959 წლის 1 იანვრისათვის ბალონური გაზით გაზიფიცირებული იყო 4 ათასზე მეტი ბინა. მიმდინარეობდა მუშაობა ბუნებრივი გაზის გაზსადენის გამოსაყვანად.

1958 წელს უმაღლესმა სასწავლებლებმა, ტექნიკუმებმა და სხვა საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა (მათ შორის დაუსწრებელთა ჩათვლით) სახალხო მეურნეობისათვის დაახლოებით 15 ათასი სპეციალისტი გამოუშვეს. ამასთან მრეწველობისათვის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობისათვის გამოშვებულია 3,8 ათასზე მეტი კაცი, სოფლის მეურნეობისათვის — 4 ათასზე მეტი კაცი.

1958 წელს დამლევისათვის იყო კულტურის სამინისტრის 959 კინოთეატრი, ანუ 12 პროცენტით მეტი, ვიდრე 1957 წელს; ამ კინოთეატრებში სურათები ნახა 37 მილიონმა კაცმა, ე. ი. მნახველთა რიცხვი წლის განმავლობაში 8 პროცენტით გაიზარდა. რესპუბლიკის თეატრები 1958 წელს 2 მილიონზე მეტ კაცს მოემსახურნენ.

კულტურის სამინისტროს სისტემაში წლის დამლევისათვის ირიცხებოდა 1,2 ათასი მასობრივი ბიბლიოთეკა და 1,7 ათასი კლუბი. 1957 წელთან შედარებით მასობრივი ბიბლიოთეკებისა და კლუბების რიცხვი 6 პროცენტით გადიდდა.

1958 წლის ზაფხულში პიონერბანაკებში ისვენებდა 40 ათასზე მეტი ბავშვი.

გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. წლის დამლევისათვის რესპუბლიკაში იყო 28 ათასი ავადმყოფის საწოლი, ანუ 6 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წელს, 15 ათასი ადგილი მუდმივ საბავშვო ბაგებში და 20 ათასი საწოლი სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. 1958 წლის განმავლობაში რესპუბლიკის კურორტებზე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემის სანატორიუმებმა და დასასვენებელმა სახლებმა 185 ათას ავადმყოფსა და დამსვენებელს გაუწიეს მომსახურება.

* * *

სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები მოწმობენ, თუ რა ახალი წარმატებანი მოიპოვეს საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

*საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო*

# გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 36 და 37 მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია საზოგადებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ლელაშვილი** მიხეილ მიხეილის-ძე — პროფესიული კავშირების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოსაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ამირანაშვილი** დავით დიმიტრის-ძე — თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი **რთველიაშვილი** იოსებ გიორგის-ძე — საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები:

**გეგეშიძე** გიორგი ანდრიას-ძე — თბილისის ქალაქის კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

**თათრიშვილი** ნინო თომას ასული — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების კოლექტივისაგან;

**შევარდნაძე** ედუარდ ამბროსის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირისაგან;

**კობერიძე** ვარდიშ გიორგის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საბრძძედი საამქროს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

**ჭილაია** სერგი ესტატეს-ძე — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისაგან;

**მამედოვი** ჯამალ ბალაჯა ოღლი — მარნეულის რაიონის სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან;

**შარაძე** ლენა მირიანის ასული — მახარაძის რაიონის სოფელ მელექედურის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

**ჭყონია** მაყვალა სერგის ასული — ბათუმის რაიონის სოფელ ჩაისუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

**მალია** შამონია ხაჯარატის ასული — გუდაუთის რაიონის სოფელ ააცის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

**ბაზანდარაშვილი** თამარ გიორგის ასული — გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ წევრებისაგან;

**ალბოროვი** სოსლან ალექსანდრეს-ძე — პროფესიული კავშირების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოსაგან;

**იაკიმოვი** გრიგოლ პროტასის-ძე — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოსაგან.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს**
**პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს**
**პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი**

ქ. თბილისი.
1959 წლის 24 იანვარი.

# გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის სამგორის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. დ. ვ. გელაშვილის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით**

დაბადებიდან ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდეს საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის სამგორის რაიკომის პირველი მდივანი დიმიტრი ვასილის-ძე გელაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს**
**პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს**
**პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი**

ქ. თბილისი.
1959 წლის 24 იანვარი.

# საბჭოების მომავალი არჩევნები და ჩვენი ამოცანები

**მ. დ. ჩუბინიძე,**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

საქართველოს მშრომელები ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად უდიდესი აღფრთოვანებით, შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით ეგებებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობას, ხვდებიან მას ახალი წარმატებებით, რომლებიც ყრილობისწინა სოციალისტურ შეჯიბრებაში მოიპოვეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

ამ სასიხარულო და საზეიმო დღეებში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ახალი ენთუზიაზმით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ მიმდინარე წლის 15 მარტს დანიშნულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები.

არჩევნების მაღალი პოლიტიკური და ორგანიზაციული დონის უზრუნველყოფა უდიდესი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ჩვენ საბჭოების არჩევნების ორგანიზაციისა და წარმატებით ჩატარების დიდი გამოცდილება გვაქვს. მაგრამ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს, ყველა მოქალაქეს დიდი მუშაობის გაწევა მოუხდებათ, რომ მომავალმა არჩევნებმაც მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩაიაროს, რომ არჩევნები კარგად ორგანიზებული და ყოველმხრივ მომზადებული იყოს.

საბჭოთა წყობილების, საბჭოთა სახელმწიფოს არსი, მისი ერთ-ერთი, უაღრესად დამახასიათებელი თვისებაა განუწყვეტელი წინსვლა, მუდმივი განვითარება. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა — მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, მეცნიერება და ტექნიკა ინტენსიურად ვითარდება, მაღლდება მშრომელთა კულტურული დონე და უმჯობესდება მათი მატერიალური კეთილდღეობა. ამასთან ერთად ვითარდება საბჭოთა დემოკრატიაც. უკანასკნელ წლებში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ბევრი ღონისძიება განხორციელეს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის შემდგომი სრულყოფის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარების, მოკავშირე რესპუბლიკების, ადგილობრივი ორგანოებისა და საწარმოების უფლებათა გაფართოებისათვის. პარტია ყოველდღიურად ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს დიდი ლენინის მითითებებით საბჭოთა დემოკრატიზმის განვითარების, მასების შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლებისა და ყოველმხრივი გაფართოების შესახებ. პარტია ახლა ყოველი დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას მიმართავს ხალხს, მშრომელებს, იღებს მხედველობაში მათს წინადადებებს. ამ ბრძნულ ლენინურ პოლიტიკას სულ უფრო საგრძნობი დადებითი შედეგები მოაქვს. ამ პოლიტიკის განხორციელების შედეგად უმაგალითოდ სწრაფი ტემპებით ვითარდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, მეცნიერება და ტექნიკა. მაღლდება ხალხის ცხოვრების დონე. იფურჩქნება საბჭოთა დემოკრატია.

ხელმძღვანელობდა რა საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარების ლენინური პრინციპებით და ეყრდნობოდა რა საბჭოების არჩევნების ორგანიზაციისა და ჩატარების საქმეში შეძენილ დიდ გამოცდილებას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გასული წლის 31 დეკემბრის გრძანებულებით არსებითი ცვლილებები შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულებაში.

ამ გრძანებულების შესაბამისად მნიშვნელოვნად გაიზარდა საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ნორმები. მომავალ არჩევნებში. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ იქნება ერთი დეპუტატი ყოველ 1.000 მცხოვრებზე ნაცვლად 1.500 მცხოვრებისა. რასაც ითვალისწინებდა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების წინანდელი დებულება.

რაიონული საბჭოების არჩევნების დროს იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა 30 ათას კაცს აღემატება, ახლად დამტკიცებული ნორმების შესაბამისად არჩეულ იქნება ერთი დეპუტატი ყოველ 750 მცხოვრებზე, მაგრამ არა უმეტეს 80 დეპუტატისა. იმ რაიონებში კი, სადაც მოსახლეობა 30 ათას კაცზე ნაკლებია, არჩეულ იქნება 40 დეპუტატი. ეს ნიშნავს, რომ რაიონულ საბჭოებში არჩეულ იქნება 40-80 დეპუტატი, მაშინ როცა წინა მოწვევის რაიონული საბჭოების შემადგენლობაში ირჩევდნენ მხოლოდ 35-60 დეპუტატს.

საქალაქო საბჭოების შემადგენლობაში, ახალი ნორმების შესაბამისად, არჩეულ უნდა იქნას იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა 12 ათას კაცამდეა, 50 დეპუტატი, იმ ქალაქებში, რომელთა მოსახლეობაც 12 ათასიდან 30 ათას კაცამდეა — ერთი დეპუტატი ყოველ 250 მცხოვრებზე, მაგრამ არა უმეტეს 100 დეპუტატისა; სადაც მცხოვრებთა რაოდენობა 30 ათასიდან 100 ათას კაცამდეა, ირჩევენ ერთ დეპუტატს ყოველ 300 მცხოვრებზე, მაგრამ არა უმეტეს 250 დეპუტატისა. ხოლო იქ, სადაც მცხოვრებთა რაოდენობა 100 ათასიდან 150 ათას კაცამდეა, ირჩევენ ერთ დეპუტატს ყოველ 400 მცხოვრებზე, მაგრამ არა უმეტეს 300 დეპუტატისა. მაშინ როცა წინა მოწვევის საქალაქო საბჭოებში იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა შეადგენდა 12 ათასიდან 100 ათასამდე კაცს, ირჩევდნენ ერთ დეპუტატს ყოველ 350 მცხოვრებზე, მაგრამ არა უმეტეს 250 დეპუტატისა. ხოლო იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა 12 ათას კაცამდე იყო, — 35 დეპუტატს.

თბილისის საქალაქო საბჭოში არჩეულ იქნება ერთი დეპუტატი ყოველ 1.500 მცხოვრებზე. ხოლო ქ. თბილისის რაიონებში — ერთი დეპუტატი ყოველ 500 მცხოვრებზე. მაგრამ არა უმეტეს 250 დეპუტატისა.

სასოფლო და სადაბო საბჭოების შემადგენლობაში არჩეულ იქნება ერთი დეპუტატი ყოველ 75 მცხოვრებზე, მაგრამ არა ნაკლებ 20 და არა უმეტეს 50 დეპუტატისა, მაშინ როცა გასულ არჩევნებში ირჩევდნენ 15-35 დეპუტატს—ერთ დეპუტატს ყოველ 100 მცხოვრებზე. იმ სასოფლო და სადაბო საბჭოებში, სადაც მოსახლეობა 500 კაცამდეა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნებართვით, შეიძლება არჩეულ იქნას 20-ზე ნაკლები დეპუტატი.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო ნორმების ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა მკაფიოდ მოწმობს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ნამდვილად სახალხო საბჭოთა დემოკრატიის განვითარებას. ამ ღონისძიების შედეგად ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში—საოლქო, რაიონულ, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოებში არჩეულ იქნება მუშების, კოლმეურნეებისა და საბჭოთა ინტელიგენციის უფრო მეტი წარმომადგენელი, უფრო მეტად განმტკიცდება ადგილობრივი საბჭოების კავშირი მოსახლეობასთან.

ახალი საარჩევნო ნორმები მთლიანად ცვლის საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების აქამდე არსებულ საარჩევნო ოლქების საზღვრებს. ადგილობრივ საბჭოებს, მათს აღმასრულებელ კომიტეტებს დიდი მუშაობის გაწევა მოელით. მათ ახლავე უნდა მოჰკიდონ ამ საქმეს ხელი, დროზე შექმნან ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქები. ახალი ოლქების შექმნისას გამოტოვებულ არ უნდა იქნას არც ერთი სოფელი, უბანი, კვარტალი, ქუჩა ან თუნდაც სახლი, დაშვებულ არ უნდა იქნას მათი ერთიროულად ორ საარჩევნო ოლქზე მიკუთვნება. ახლავე უნდა ოსახონ თავთეული საბჭოსათვის საარჩევნო ოლქების რიცხვი და ზუსტად დაადგინონ მათი საზღვრები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, მიიღო რა მხედველობაში დიდი გამოცდილება, რომელიც ქართველმა ხალხმა შეიძინა წინა არჩევნებში, შეამცირა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კამპანიის ვადა—ნაცვლად ორი თვისა დააწესა 45 დღე. ეს მნიშვნელოვნად ზრდის ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობას, რომლებმაც უფრო შემჭიდროებულ ვადებში უნდა შეასრულონ ის მუშაობა, რომელსაც ისინი აქამდე ეწეოდნენ საარჩევნო კამპანიის მომზადებისა და ჩატარების პერიოდში. მიმდინარე არჩევნების სირთულე იმითაც გამოიხატება, რომ 15 მარტს მოხდება როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს. ისე საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ახლავე უნდა გაითვალისწინონ ეს მდგომარეობა და ისე წარმართონ ორგანიზაციული მუშაობა, რომ უზრუნველყოფილ იქნას არჩევნების დებულებებით გათვალისწინებული ყველა მოსამზადებელი სამუშაოს ვადაზე შესრულება.

წინა არჩევნებისაგან განსხვავებით მიმდინარე არჩევნებში საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქ თბილისის რაიონების, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქები იქმნება არჩევნებამდე არა 55, არამედ 40 დღით ადრე, ე. ი. 2 თებერვლამდე.

საარჩევნო ოლქების შექმნასთან ერთად 2 თებერვლამდე მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოების აღმასკომებმა უნდა დაამტკიცონ საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ხელმძღვანელი საარჩევნო კომისიები. არჩევნებამდე 35 დღით ადრე, ე. ი. არა უგვიანეს 7 თებერვლისა, მათ უნდა დაამტკიცონ ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა.

არჩევნებამდე არა უგვიანეს 30 დღისა (ნაცვლად 45 დღისა, როგორც წარსულ არჩევნებში იყო), ე. ი. 12 თებერვლისა, ქალაქებში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, ხოლო რაიონებად დაყოფილ ქალაქებში — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სოფლებში მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ქმნიან საარჩევნო უბნებს და აკუთვნებენ მათ რიგით ნომრებს, რომლებიც ისევე, როგორც წინათ, საერთო იქნება ყველა არჩევნებისათვის. არა უგვიანეს 25 დღისა (ნაცვლად 40 დღისა წარსულ არჩევნებში), ე. ი. 17 თებერვლისა, ისინი ამტკიცებენ საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობას.

მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს, რაიონული, საქალაქო, ქალაქ თბილისის რაიონების, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო და საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში უნდა შევიდეს მრავალი ათეული ათასი კაცი. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა ამ კომისიების შემადგენლობის დამტკიცებისას ზუსტად უნდა დაიცვან არჩევნების დებულებებით გათვალისწინებული მოთხოვნები, ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ კომისიების შემადგენლობაში შეყვანილ იქნან მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, ინტელიგენციის, ინვალიდების, ინტერნაციონალისტ-ოფიცრების, ომის ინვალიდების, ოჯახიანი ქალების, ახალგაზრდა მუშაკების, ინტელიგენციის ახალგაზრდ

# ავამაღლოთ სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დონე

## ჩოხატაურის და კასპის რაიონების პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო და ფიზკულტურული აქტივის ვალდებულებანი

საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენი გმირი ხალხი სულ ახალ და ახალ გამარჯვებებს აღწევს.

განსაკუთრებით გაცხოველდა მუშაობა ახლა, როდესაც სსრ კავშირის მშრომელები უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აქტივობით ემზადებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობისათვის.

კომუნისტური მშენებლობის ახალი გრანდიოზული ამოცანების განხორციელებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მატერიალური დოვლათის შემქმნელი საბჭოთა ადამიანის ფიზიკური და სულიერი თვისებების სრულყოფას. კომუნიზმის მშენებელი ადამიანი უნდა იყოს ჯანმაგარი, მტკიცე, ყველა დაბრკოლებათა გადამლახავი.

ამ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაშლის, სპორტული ბაზების მშენებლობისა და სპორტის ახალ სახეობათა განვითარების საქმეში.

მაგრამ სოფლად ფიზკულტურული მუშაობის არსებული დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს, ვერ აკმაყოფილებს საქართველოში ფიზიკური კულტურის განვითარების მზარდ მოთხოვნებს.

ანალიზი გაუკეთეთ რა სოფლად ფიზკულტურული მუშაობის მდგომარეობას, ჩვენ, ჩოხატაურისა და კასპის რაიონების პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო და ფიზკულტურული აქტივი, მიველით იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ ამ საკითხს და მოსახლეობის ფართო ფენებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით აღმოვფხვრათ არსებული ჩამორჩენა. ამასთან დაკავშირებით ჩვენ მივმართავთ საქართველოს სსრ რაიონების პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს, სასწავლებლებს, ყველა ფიზკულტურულ კოლექტივს და მოვუწოდებთ გააჩაღონ ბრძოლა სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მკვეთრი აღმავლობისათვის და ჩვენი შრომა ჯეროვნად შემდეგ ვალდებულებებს:

### ჩოხატაურის რაიონი

1. რაიონის მოსახლეობის სპორტულ საქმიანობაში ფართოდ ჩაბმის მიზნით 1959-60 წლებში ყველა საწარმო-დაწესებულებაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურში, სკოლაში შეიქმნით ფიზკულტურის ძირეულ კოლექტივებს.

2. ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების 1959 წლის გეგმას შეასრულებთ სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის გახსნის დღისათვის, ხოლო 1960 წელს ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა რიცხვს ერთისამად გავზრდით.

3. 1959 წელს ავაგებთ ფეხბურთის მოედნებს სოფლების დაბლა ციხის, გოგოლესუბნის, იანეულის, ძირგანახლების, ბუკნარის, ქვემო ერკეთისა და ვან-ზომლეთის კოლმეურნეობებში; კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებს—სოფლების დაბლა ციხის, შუა სურების, ზემო სურების, ერკეთის, ხევის, ბუკნარის, სამების, განახლების, ვან-ზომლეთის, გოგოლესუბნისა და ბუკისციხის კოლმეურნეობებში; სახროლო ტირებს—სოფლების ერკეთის, განახლების, ჩობალაურის, შუა განახლების, ხიდისთავის კოლმეურნეობებში; სასკოლო სახპორტო ბაზებს—ჩობალაურის პირველ და მეორე საშუალო სკოლებში, სოფლების განახლების, ხიდისთავისა და ხევის საშუალო სკოლებში. რაიონში უზრუნველყოფთ 20 საქიდაო ასპარეზის მოწყობას. საქართველოს სპარტაკიადისათვის დავამთავრებთ რაიონის სტადიონ-იპოდრომის, მძლეოსნობის სექტორების მშენებლობას, აქვე მოვაწყობთ კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებს, საქიდაო ასპარეზს, ჩოგბურთის კორტებს და რაიონულ სასპორტო დარბაზს. შეიქმნით საკოლმეურნეობათაშორისო კომპლექსურ მოედნებს სოფლების ქვემო უბნის, ხიდისთავის, ჩაისუბნის, შუა განახლების, ქვემო ერკეთის, კოსნარის, საკამიასერის კოლმეურნეობებში, ჩობალაურის № 2 ჩაის ფაბრიკასა და ჩობალაურის პირველ საშუალო სკოლაში, რომლებსაც ვაცხადებთ კომკავშირულ მშენებლობებად, ხოლო 1960 წლისათვის მათ რაოდენობას გავზრდით ერთიორად. უზრუნველყოფთ რაიონის სასპორტო ბაზების მოწყობას 1959 წლის ზონალური სპარტაკიადის ჩასატარებლად.

4. ყველა კოლმეურნეობაში შეიქმნით ფეხბურთის, კალათბურთის, ჭიდაობის, მძლეოსნობის სექციებს, დავნერგავთ და განვავითარებთ სპორტის 18 სახეობას — ფეხბურთს, კალათბურთს, ფრენბურთს, ჩოგბურთს, მაგიდის ჩოგბურთს, ჭიდაობას, ვოლეიბოლს, ტანვარჯიშს, ტყვიის სროლას, ძალოსნობას, ჭადრაკს, შაშს, ტურიზმს, ცურვას, თანამედროვე ხუთჭიდს, განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ სპორტის ეროვნული სახეობების — ცხენოსნობისა და ლელობურთის განვითარებას.

5. 1959 წელს მოვამზადებთ ფიზკულტურის 200 საზოგადოებრივ ინსტრუქტორს და მსაჯს, ხოლო 1960 წლისათვის მათ რიცხვს ერთიორად გავზრდით.

6. რაიონის ახალგაზრდობაში ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის მიზნით მოვაწყობთ ლექციებსა და მოხსენებებს რესპუბლიკის თვალსაჩინო სპორტსმენთა და წამყვან მწვრთნელთა მონაწილეობით.

7. ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის ფართოდ გავაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას, მნიშვნელოვნად გავზრდით სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებას რაიონის შიგნით და სამაგჩო შეხვედრებს მეზობელ რაიონებთან.

### კასპის რაიონი

1. 1959 წლის ბოლოსათვის მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში ჩავაბამთ 1.000 კაცით მეტს, ვიდრე 1958 წელს, ხოლო 1960 წლისათვის მათ რაოდენობას გავზრდით კიდევ 1.500 კაცით.

2. 1959 წლის მანძილზე რაიონში დავნერგავთ და განვავითარებთ სპორტის 16 სახეობას, შევქმნით ახალ სპორტულ სექციებს ქართულ ჭიდაობაში, ფეხბურთში, ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, რომელთა მუშაობაში ჩავაბამთ 5.200 კაცს.

3. ფიზკულტურის ძირეული კოლექტივების ორგანიზაციულად განმტკიცებისა და მათი მუშაობის უნარიანობის გაზრდის მიზნით წლის მანძილზე მოვამზადებთ ფიზკულტურის 60 ინსტრუქტორს და 100 მსაჯს სხვადასხვა სახეობის სპორტში, ხოლო 1960 წელს 120 ინსტრუქტორსა და 200 მსაჯს.

4. 1959 წელს მოვამზადებთ: სამ სპორტის ოსტატს, 25 პირველთანრიგოსანს, 60 მეორეთანრიგოსანს, ხოლო მესამე და მოზარდთა თანრიგისას — 200 კაცს, მშთ პირველი საფეხურისას — 550 კაცს, მეორე საფეხურის 65 ნიშნოსანს. 1960 წელს კი მოვამზადებთ 300 სპორტსმენ-თანრიგოსანს.

5. რაიონში არსებული სასპორტო ბაზების მოწყობისა და ახალი ბაზების შექმნის მიზნით:

ა) 1959 წლის 1 მაისისათვის დავამთავრებთ რაიონის ცენტრში სატანვარჯიშო სასპორტო დარბაზის მშენებლობას და აღვჭურავთ მას სასპორტო ინვენტარითა და მოწყობილობით;

ბ) ამავე პერიოდისათვის შემოვლებავთ და გავამწვანებთ სტადიონს, მის ტერიტორიაზე დავრგავთ 400 ძირ ხეს, ავაგებთ ტრიბუნებს 2.000 მაყურებლისათვის და მძლეოსნურ სექტორებს;

გ) 1959 წლის ბოლოსათვის რაიონში ავაგებთ ფეხბურთის 14, ფრენბურთის 18, კალათბურთის 16 მოედანს, მარტივი ტიპის 15 საქიდაო ასპარეზს, ხოლო სოფლებში ახალქალაქსა და ყარაღაჯში ავაშენებთ რთულ საქიდაო ასპარეზებს. გარდა ამისა, რაიონში გვექნება 2 სარბენი ბილიკი და 30 სახტომი ორმო;

დ) ოკამის და კალინინის მეკენახეობის საბჭოთა მეურნეობებში, ქვემო ჭალის, დოესის, კავთისხევის, ახალქალაქის კოლმეურნეობებსა და სამთავისის სარემონტო-ტექნიკურ სადგურში 1960 წლისათვის მოვაწყობთ კომპლექსურ სახპორტო ბაზებს, რომლებსაც ექნებათ კალათბურთის, ფრენბურთის მოედნები და მძლეოსნური სექტორები. აღნიშნულ ნაგებობებს ვაცხადებთ კომკავშირულ მშენებლობებად.

6. 1959 წელს რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციები სასწავლო-სპორტული მუშაობისათვის შეიძენენ სულ ცოტა ასი ათასი მანეთის სპორტულ ფორმასა და ინვენტარს.

მიმართვა მიღებულია ჩოხატაურისა და კასპის რაიონების პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო და ფიზკულტურული აქტივის კრებებზე.

# თანამედროვეობის სრულყოფილი ასახვისათვის

## საქართველოს საბჭოთა მწერლების V ყრილობაზე

ამ დღეებში მუშაობა დაამთავრა საქართველოს საბჭოთა მწერლების V ყრილობამ. ყრილობაზე მოსმენილ იქნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველი მდივნის ი. აბაშიძის მოხსენება „ქართული ლიტერატურა ახალი ამოცანების წინაშე“ და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ი. ლისაშვილის თანამოხსენება. მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ოცდათვრამეტმა კაცმა.

კამათში პირველი გამოვიდა დრამატურგი მიხ. მრევლიშვილი. ქართულმა დრამატურგიამ, — აღნიშნა მან, — ამ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მეტად რთული გზა განვლო. ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დროს მოსკოვში მოწყობილ დისკუსიაზე თანამედროვე ქართულმა დრამატურგიამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ამ დისკუსიაზე გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს ჩვენი დრამატურგიის ნაკლიც და წარმატებაც.

სამწუხაროდ, დღეს დრამა ჩვენში, ისევე როგორც სცენარი, რატომღაც ლიტერატურულ მოვლენად აღარ ითვლება. დრამატურგია დამორჩილა თეატრს და პიესის ავტორი თავის ნაწარმოებებს სცენაზე დადგმის თვალსაზრისით უყურებს. დრამატურგი როდი ქმნის დამოუკიდებელ ნაწარმოებს, რომელსაც თავისი ლიტერატურული ღირსება აქვს და რომელსაც ოდესაც პოეზიის გვირგვინი ერქვა. ის აკოწიწებს სქემას და ეს სქემა შემდეგ სცენაზე სპექტაკლად იქცევა. ამით კარი გავუღეთ ყველა ჯურის დრამისმეკეთებლებს. იმატა პიესების რიცხვმა, იკლო ხარისხმა. კარგი და ცუდი ერთმანეთში აირია. ჩვენ თითქმის არასოდეს არა ვმსჯელობთ პიესაზე, თუ ის სცენაზე არ დადგმულა. ლიტერატურულად არ ვიფასებთ პიესის ენას, მის კომპოზიციას, არქიტექტონიკას, სიუჟეტს, კონფლიქტს, სახეებს. ჩვენი მკითხველი გადაეჭაია პიესის კითხვას, მის შეფასებას. დაუდგმელ პიესას ჟურნალებში არ ბეჭდავენ. გამომცემლობებს კრებულებში არ შეაქვთ. ეს დიდად უშლის ხელს დრამატურგიის განვითარებას.

ძირითადი მამძიდრავებელი ძალა ჩვენი ცხოვრებისა, — განაგრძობს მ. მრევლიშვილი, — ახალგაზრდა კადრებია. მათ შემოაქვთ სიახლე და სიცოცხლე ჩვენს ცხოვრებაში. ამ მხრივ დრამატურგია კვლავ ჩამორჩენილია და საჭიროა ამ ჩამორჩენასაც ბოლო მოეღოს.

ამ მხრივ დიდ დახმარებას გაგიწევდა თეატრალური ინსტიტუტი, თუ იქ გაიხსნებოდა სათანადო განყოფილება ახალგაზრდა დრამატურგთათვის. დრამატურგიაში მუშაობისათვის მარტო ნიჭი არ ქმარა, ახალგაზრდა დრამატურგთათვის საჭიროა სცენის და მსახიობის ოსტატობის ზედმიწევნით ცოდნა.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე ი. თარბა,

საქართველოს მწერალთა მეხუთე ყრილობის წინ, — აღნიშნა, მან, — მოეწყო აფხაზეთის მწერალთა პირველი ყრილობა, რომელიც დიდი კულტურული მოვლენა იყო აფხაზი ხალხის ცხოვრებაში.

რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მზრუნველობის შედეგად აღდგენილია აფხაზეთის მწერალთა კავშირი. ყველგან გამოდის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „ალაშარა“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მთელი აფხაზური ლიტერატურის განვითარების საქმეში. 1957 წელს აფხაზმა ბავშვებმა მიიღეს ძვირფასი საჩუქარი — ჟურნალი „ამცაბსი“. თუ დღემდე სამავშვო ლიტერატურა ჩვენში ჩამორჩენილად ითვლებოდა, ამ ჟურნალის გამოსვლასთან დაკავშირებით სამავშვო ლიტერატურა უკვე ფრთებს შლის. აფხაზეთში გამოდის ბრეთვე ალმანახი „ლიტერატურული აფხაზეთი“ ქართულ ენაზე. აფხაზური ლიტერატურა დღეს დიდ აღმავლობას განიცდის და თავისი გაფურჩქვნის ხანაში იმყოფება.

უკანასკნელ წლებში ნამდვილად დაწინაურდა, გაიზარდა და ახალი შესანიშნავი ნაწარმოებებით გამდიდრდა ქართული მხატვრული ლიტერატურა, — ამბობს საქართველოს მწერალთა კავშირის აპარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ფ. ხალვაში. — ყველაზე სასიამოვნო ის არის, რომ ჩვენი ლიტერატურა ღებულა ახალი მაღალნიჭიერი, საიმედო ძალებით და რომ ქართული პროზა დადგა აღმავლობის დიდ გზაზე.

ამ საერთო ტენდენციების გამოძახილი აპარაშიც იგრძნობა. ჩვენთან ამ ოთხ წელიწადში შეიქმნა ბევრი მხატვრული ნაწარმოები, რომელთა უმრავლესობა თანამედროვეობის თემატიკას შეეხება და მხატვრულად აკმაყოფილებს მკითხველის მოთხოვნილებას.

აპარის ლიტერატორებმა თბილისში მოწყობილ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე იმდენი ყურადღება მიიქციეს, რომ ხელმძღვანელმა ორგანოებმა საჭიროდ ჩათვალეს დაკმაყოფილებინათ ჩვენი თხოვნა და აპარაში გამოცემულიყო ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი „ლიტერატურული აპარა“.

მაგრამ, სამწუხაროდ, თბილისელი მწერლები ნაკლებად ეხმარებიან ჩვენს ახალგაზრდა ქართულ ჟურნალს.

საქართველოს გამომცემლობათა მუშაობას შეეხო მწერალი რ. ჯაფარიძე.

როგორც ცნობილია, — განაცხადა მან, — ამას წინათ „სახელგამი“ ორ გამომცემლობად გაიყო — „ცოდნად“ და „საბჭოთა საქართველოდ“. არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ „სახელგამი“ საკმაო პოლიგრაფიული ბაზის უქონლობის გამო გეგმებს ვერასოდეს ვერ ასრულებდა. ფერხდებოდა სასარგებლო წიგნების დროულად გამოცემა.

შემდეგ ორატორმა მოიყვანა გამომცემლობების ცუდი მუშაობის მთელი რიგი ფაქტები და დასძინა — გამოსაცემი ლიტერატურა მკაცრად, პატიოსნად, მიუდგომლად უნდა შეირჩეს.

ყრილობაზე მხცოვანმა მწერალმა შალვა დადიანმა წინადადება შეიტანა მწერალთა კავშირთან გაიხსნას ერთგვარი ლიტერატურული სკოლა, რომელიც მოამზადებს ახალგაზრდა მწერლებს. მართალია, უნივერსიტეტში გვაქვს ფილოლოგიური ფაკულტეტი, — აღნიშნა მან, — სადაც უფრო ფართო დიაპაზონით არის აღებული ეს საქმე. ჩემი აზრით, ჩვენ უფრო ვიწრო სპეციალური ხასიათი უნდა მივცეთ ამ საქმეს. ეს უნდა იყოს ერთგვარი სტუდიური მუშაობა, რის საუკეთესო მაგალითსაც გვაძლევს სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირი.

საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ფ. გაგლოევმა გააკრიტიკა საქართველოს მწერალთა კავშირი და კულტურის სამინისტრო, რომლებიც საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ოსური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნას.

ქართულმა ლექსმა, — აღნიშნა მწერალმა **დ. კვიცარიძემ**, — დიდი ხანია ჰპოვა აღიარება საბჭოთა კავშირის ხალხებში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში და ზოგ შემთხვევაში უფრო მორსაც. მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა კეთდება იმისათვის, რომ საქართველოს ზოგიერთი გამოჩენილი პოეტის შემოქმედება უფრო ფართო მასშტაბით იქნას თარგმნილი.

დ. კვიცარიძემ ყურადღება გაამახვილა ლიტერატურის სიინტერესო ჟანრზე — მხატვრულ ნარკვევზე. მხატვრული ნარკვევი — თქვა მან, — ჩვენი მწერლების შემოქმედებაში ყოველთის მეორე პლანზეა. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ ჟურნალების რედაქციებიც ნარკვევს მეორეხარისხოვან მასალად თვლიან.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა **დ. ჩხიკვაშვილმა** აღნიშნა: ქართველი საბჭოთა მწერლების მეხუთე ყრილობა ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. მისი მოწვეება ემთხვევა პარტიის XXI ყრილობის წინადღეებს, ჩვენი ცხოვრების სამეურნეო და კულტურული გარდაქმნის დიდ ისტორიულ ხანას.

ქართულმა პოეზიამ და პროზამ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში შექმნეს დიდი ელფერადობის რამდენიმე მხატვრული ტილო, რომლებმაც ხალხის აღიარება და სიყვარული დაიმსახურა. დასახელებული დროის მონაკვეთში მნიშვნელოვანი ძვრებით აღინიშნა ქართული საბჭოთა თეატრალური დრამატურგიისა და კინოდრამატურგიის განვითარებაც. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება აღვნიშნოთ, რომ 1949 წლიდან 1954 წლამდე ქართულმა კინემატოგრაფიამ გამოუშვა მხოლოდ 3 მხატვრული ფილმი, მაშინ როცა 1954 წლიდან დღემდე გამოშვებული იქნა 21 მხატვრული კინოსურათი, ე. ი. 7-ჯერ მეტი.

რამდენიმე საინტერესო, თანამედროვეობის ამსახველი პიესის დადგმა განხორციელდა ამ ხნის მანძილზე ჩვენს თეატრში.

საბჭოთა თეატრი და კინო ამჟამად ახდენენ ძირეულ შემობრუნებას თანამედროვე თემისაკენ და განიცდიან ძიებისა და სრულყოფის პერიოდს. ამ ეტაპებში ისინი პირველ რიგში ელიან მწერლის დახმარებას.

მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი წამყვანი ქართველი მწერალი, რომელსაც შეუძლია დრამატურგიაში ნაყოფიერი მუშაობა, გაურბის თეატრს და კინოს, არ ეჩენს ინტერესს მათდამი.

მწერალთა კავშირმა და კულტურის სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინონ კინოსცენარისტთა გამოვლინებისა და აღზრდის საქმეშიც. ეს მით უმეტეს აუცილებელია, რომ საქართველოს კინოსტუდია წლითიწლობით ზრდის თავის პროდუქციას.

საკმარისია ითქვას, რომ 1959 წელს სტუდიამ 8 ფილმი უნდა გამოუშვას, ხოლო პერსპექტივაში უფრო დიდი საქმეებია. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თხოვნით საკავშირო თბილისში ახალი კინოსტუდიის მშენებლობის საკითხი და ამ მიზნით რესპუბლიკას დამატებით 60 მილიონი მანეთი გამოუყო. 1960 წლიდან დაიწყება ამ სტუდიის მშენებლობა.

შემდეგ ამხ. დ. ჩხიკვიშვილი ეხება რესპუბლიკაში წიგნის გამოცემის საქმეს.

ყრილობაზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სახალხო მხატვარმა **უ. ჯაფარიძემ**, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა კომპოზიტორმა **ა. მაჭავარიანმა**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ა. ბოჭორიშვილმა**, რუსთაველის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს ბრიგადირმა **დ. ძაგანიამ**.

ქართული მხატვრული ლიტერატურის —პროზის, პოეზიის, დრამატურგიის, ენის სიწმინდის, კრიტიკის აქტიურად საკითხებზე შეაჩერეს ყრილობის ყურადღება მწერლებმა **კ. გამსახურდიამ**, **დ. შენგელაიამ**, **ა. მირცხულავამ**, **გ. მარგველაშვილმა**, **გ. გულიამ**, **ა. ჭუმბაძემ**, კინორეჟისორმა **დ. რონდელმა**.

დრამატურგიის მტკივნეულ საკითხებს შეეხო მწერალი **მ. ბარათაშვილი**. ლიტერატურის ყველა ცალკეული ოჯახიდან, — განაცხადა მან, — თამამად შეიძლება ითქვას, დრამატურგიის სარკე ყველაზე მკრთნობიარეა. მასში ყველაზე მკაფიოდ მოჩანს მწერლის მიერ დაბატული სურათი ჩვენი ცხოვრებისა. იგი ქვეყნის სამსჯავროზეა გამოტანილი და იმ სახეებში, რომლებიც სცენიდან წარმოგიდგენენ, მაყურებელი ეძებს თავის თავს, თავის ამხანაგებსა და ნაცნობ-მეგობრებს მათი ტკივილებით თუ სიხარულით, შეცდომებით თუ მიღწევებით, ეძებს ადამიანებს ბრძოლაში, შრომაში, სიყვარულსა და ოცნებაში.

რესპუბლიკის მასწავლებელთა და მოსწავლეთა სახელით ყრილობას მიესალმა საქართველოს სსრ განათლების მინისტრი პროფესორი **გ. ჯიბლაძე**. იგი შეეხო ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკის მტკივნეულ საკითხებს და აღნიშნა:

ჩვენი ვალია კლასიკური კრიტიკული აზროვნების ყველა ძეგლი ვიქნილნიოთ ქართულ ენაზე, რაც დიდად შეუწყობდა ხელს ჩვენი კრიტიკული და ესთეტიკური აზროვნების ამაღლებასა და განვითარებას.

ამასთანავე მინდა განვაცხადო, რომ თუ ჩვენი კრიტიკოსებისა და ესთეტიკოსების ყველაზე საუკეთესო წიგნებს ითარგმნით სხვა ენებზე, არ შეიძლება მათაც სანელი და ავტორიტეტი არ მოიპოვონ.

მთავარი პრობლემა, აღნიშნა თავის გამოსვლაში კრიტიკოსმა **ბ. ჟღენტმა**, რომელიც დღეს ჩვენი მწერლების და არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის მწერლების წინაშე დგას, ის არის თანამედროვეობის პრობლემა. ჩვენ დაინტერესებული ვართ იმით, რომ ქართული ლიტერატურა არ იყოს, არამედ თანამედროვე პრობლემატიკის სიმაღლეზე იდგეს, სუნთქავდეს დღევანდელი დღით, მისი თემატიკით, მისი იდეებით.

ზოგჯერ თანამედროვეობის ნიღბით ჩვენს მწერლობაში მოიწევს უფერული, მდარე, არამხატვრული, უნაზო ნაწარმოებები. ჩვენ ამას ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ, ჩვენმა თანამედროვეობის პროგლეტარიატმა მაღალხარისხოვანი განსახიერება უნდა ჰპოვოს ლიტერატურაში, ამისათვის კი ნაკლებად ვიბრძვით.

დღეს ჩვენ ყრილობაზე დგას საკითხი, თუ რა გაკეთდა ამ წლების განმავლობაში. ყველაზე მთავარი ის არის, რომ გამოჩნდნენ ახალგაზრდა ძალები. 50-ზე მეტი ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი შეემატა ჩვენს მწერლობას. სიხარულით უნდა შეხვდეთ ამ ახალგაზრდობის მოსვლას, მათს დაწინაურებას. მაგრამ ახალგაზრდობისათვის მზრუნველობა არ ნიშნავს მარტო მწერალთა კავშირში მიღებას, მათ არ სჭირდებათ არავითარი შეღავათი, თავზე ხელის გადასმა. მათ უნდა ვეკამათოთ როგორც თანასწორნი.

შემდეგ მოკამთე **ბ. ალიევი** იხებს ენის საკითხს.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა პოეტმა **ვ. მაჭავარიანმა**. მან აღნიშნა: ჩვენ ბედნიერი პატრიოტები ვართ. ჩვენ თუ ბედნიერად გვიყვარს ჩვენი ქვეყანა, უნდა ვიყოთ ერთმანეთთან მიმართ პირდაპირი, გულახდილი, სამართლიანად კრიტიკული. საქართველოს სიყვარული არ გულისხმობს მხოლოდ ჩვენი დიდი წარსულის სიყვარულს, ვინც ბედნიერი პატრიოტია, ისაც ბედნიერად უყვარს საქართველო, მას მძაფრად უნდა უყვარდეს ჩვენი დღევანდელი დღეც, უყვარდეს ჩვენი ქვეყნის ხალხნაგები დღე, ჩვენი ქვეყნის, მომავალი. მომავლის სიყვარული კი უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდა თაობის, შთამომავლის სიყვარულს გულისხმობს, ახალგაზრდობა ღირსია მეტი ყურადღებისა, მეტი ობიექტური შეფასებისა.

ამხ. ი. აბაშიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლუცია.

რეზოლუციაში ეკრძალა ნათქვამია: მიეხედავდა წარმატებებისა, ქართულ საბჭოთა ლიტერატურას ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს. ჩვენი მწერლობა ჯერ კიდევ ვალშია ხალხის წინაშე. ქართულმა დრამატურგიამ ვერ მოგვცა ხალხთა ადამიანის ისეთი სახე, რომელიც იქცეოდა ხალხის საყვარელ გმირად, მისაბაძ მაგალითად, ვერ გვიჩვენა ეპოქის თვალი ბრძენი მისი სისხლსავსე ცხოვრებით, ძლიერი ვნებებით, ეთიკურ-მორალური აზრებითა და იდეალებით.

გარკვეული ნაკლოვანებები აქვს ქართულ საბჭოთა საბავშვო მწერლობასაც. ეცოტავა შექმნილი ისეთი მაღალმხატვრული და მაღალ-იდეური საბავშვო ნაწარმოები, რომლებიც ჩვენი მოზარდი თაობის საყვარელ წიგნებად გადაიქცეოდა. სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს მწერალთა კავშირის ბეჭდვითი ორგანოს — „მნათობის“, „ცისკრისა“ და „ლიტერატურული გაზეთის“ მუშაობას.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირს ჯეროვან დახმარებას ვერ უწევს სსრ კავშირის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი, მეტად სუსტად შეექმნა საქართველოს ლიტერატურული ცხოვრება სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ორგანოს „ლიტერატურნაია გაზეთას“ ფურცლებზე.

საქართველოს საბჭოთა მწერლების მეხუთე ყრილობამ დაადგინა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ახლად არჩეულ გამგეობას:

მთავარი ყურადღება მიაქციოს ჩვენი ლიტერატურის იდეურ სიწმინდეს და მის მხატვრულ სრულყოფას, გადაჭრით შეებრძოლოს სოციალისტური რეალიზმის პრინციპებიდან ყოველგვარ გადახვევას, მტკიცედ დაიცვას ლიტერატურის ლენინური პარტიული პრინციპები.

მიიღოს პრაქტიკული ღონისძიებანი იმისათვის, რომ ქართულ მწერლობაში სრულყოფილად იქნას ასახული ის დიდი შემოქმედებითი ძვრები ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, რომლებიც გამოიწვიეს XXI ყრილობის გადაწყვეტილებებმა, და ის ფართო პერსპექტივები, რომლებსაც სახავს ახალი შვიდწლიანი გეგმა.

სისტემატურად მოაწყოს დისკუსიები ლიტერატურის საკვანძო საკითხებისა და გამოქვეყნებული მხატვრული ნაწარმოებების გარშემო იმ მიზნით, რომ გაამახვილოს მწერლების ყურადღება მხატვრული ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის საკითხებზე.

# ავამაღლოთ სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დონე

## ჩოხატაურის და კასპის რაიონების პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო და ფიზკულტურული აქტივის ვალდებულებანი

საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენი გმირი ხალხი სულ ახალ და ახალ გამარჯვებებს აღწევს.

განსაკუთრებით გაცხოველდა მუშაობა ახლა, როდესაც სსრ კავშირის მშრომელები უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აქტივობით ემზადებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობისათვის.

კომუნისტური მშენებლობის ახალი გრანდიოზული ამოცანების განხორციელებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მატერიალური დოვლათის შემქმნელი საბჭოთა ადამიანის ფიზიკური და სულიერი თვისებების სრულყოფას. კომუნიზმის მშენებელი ადამიანი უნდა იყოს ჯანმაგარი, მტკიცე, ყველა დაბრკოლებათა გადამლახავი.

ამ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაშლის, სპორტული ბაზების მშენებლობისა და სპორტის ახალ სახეობათა განვითარების საქმეში.

მაგრამ სოფლად ფიზკულტურული მუშაობის არსებული დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს, ვერ აკმაყოფილებს საქართველოში ფიზიკური კულტურის განვითარების მზარდ მოთხოვნებს.

ანალიზი გაუკეთეთ რა სოფლად ფიზკულტურული მუშაობის მდგომარეობას, ჩვენ, ჩოხატაურისა და კასპის რაიონების პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო და ფიზკულტურული აქტივი, მიველით იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ ამ საკითხს და მოსახლეობის ფართო ფენებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით აღმოვფხვრათ არსებული ჩამორჩენა. ამასთან დაკავშირებით ჩვენ მივმართავთ საქართველოს სსრ რაიონების პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს, სასწავლებლებს, ყველა ფიზკულტურულ კოლექტივს და მოვუწოდებთ გააჩაღონ ბრძოლა სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მკვეთრი აღმავლობისათვის და ჩვენი შრომა ჯეროვნად შემდეგ ვალდებულებებს:

### ჩოხატაურის რაიონი

1. რაიონის მოსახლეობის სპორტულ საქმიანობაში ფართოდ ჩაბმის მიზნით 1959-60 წლებში ყველა საწარმო-დაწესებულებაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურში, სკოლაში შეიქმნით ფიზკულტურის ძირეულ კოლექტივებს.

2. ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების 1959 წლის გეგმას შეასრულებთ სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის გახსნის დღისათვის, ხოლო 1960 წელს ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა რიცხვს ერთისამად გავზრდით.

3. 1959 წელს ავაგებთ ფეხბურთის მოედნებს სოფლების დაბლა ციხის, გოგოლესუბნის, იანეულის, ძირგანახლების, ბუკნარის, ქვემო ერკეთისა და ვან-ზომლეთის კოლმეურნეობებში; კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებს—სოფლების და

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყოველი მხრიდან

ინდოელი ხალხის დღესასწაული.

„ბერიოზკამ“ მოხიბლა კანადელები.

ფინეთის მთავრობა დიდი კმაყოფილებით მიესალმება სსრ კავშირის მთავრობის წინადადებას.

## ინდოეთის რესპუბლიკის დღე

ჩვენ ჩვენი სამხრეთის კეთილი მეზობელი ინდოეთი თავის ეროვნულ დღესასწაულს — რესპუბლიკად გამოცხადების ცხრა წლისთავს აღნიშნავს.

შეორე მსოფლიო ომის შემდეგ გარკვეული ობიექტური პირობებისა და კონკრეტულ-ისტორიული ვითარების შესაბამისად ინდოეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მრავალი სპეციფიკური თავისებურებითა და ფორმათა სხვაობით ხასიათდება.

ინგლისის ბატონობისა და ფეოდალურ-მემამულური ჩაგვრის ვითარებაში მეორე მსოფლიო ომის დასასრულს ინდოეთში მრკწველობა და ვაჭრობა სულ უფრო ქვეითდებოდა, სწრაფად იზრდებოდა უმუშევრობა, ადგილი ჰქონდა იჯარით აღებული მიწებიდან გლეხობის მასობრივად აყრას.

ეს გარემოება იწვევდა კლასობრივ წინააღმდეგობათა შემდგომ გამწვავებას, სულ უფრო მძაფრი ხდებოდა დაპირისპირება ინგლისელ იმპერიალისტებსა და ინდოელ ხალხს შორის.

სახალხო მღელვარებისა და ანტიიმპერიალისტური გამოსვლების მკვეთრი აღმავლობის მაუწყებელი იყო ინდოეთის ფლოტის სამხედრო მეზღვაურთა აჯანყება 1946 წლის თებერვალში. მაშინ ინგლისის ოფიციალურ პირთა აღიარებით „ინდოეთი ამკარა აჯანყების წინაშე იდგა ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ“.

აჯანყებულ მეზღვაურთა სოლიდარობის ნიშნად ბომბეის 60-მდე ფაბრიკა-ქარხნისა და საწარმოს მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. ქალაქში შეჩერდა მოძრაობა, დაიკეტა ბანკები და დაწესებულებები, მაღაზიები და სკოლები, გაფიცვები ჩქარა მოედო დელს, კარაჩს, კალკუტას. ბომბეის გარეუბნებში მოსახლეობა ბარიკადებს აგებდა. გაზეთი „დელი ეორკერი“ წერდა: „ინდოეთი დღეს აჯანყებითაა მოცული და მისი ხალხი აღსავსეა სიმწარითა და მრისხანებით“. ინდოეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკურ თეზისებში ამ ამბების შესახებ ნათქვამია: „ეს იყო მგზნებარე სიგნალი, რომელიც აუწყებდა მთელ მსოფლიოს, რომ იმპერიალიზმისადმი სიძულვილი და უკმაყოფილება აერთიანებს ინდოეთის ხალხსა და მის შეიარაღებულ ძალებს იმპერიალისტებისა და ფეოდალების ძირმომპალი პატრონობის სრული განადგურებისათვის ბრძოლაში“. თებერვლის ამბების დროს მოკლულ იქნა 300 კაცი და ორიათასამდე დაიჭრა. ბომბეიში პოლიციის მიერ დაპატიმრებული იყო დაახლოებით ათასი კაცი. მარტო 22 თებერვალს ბომბეიში მოკლულ იქნა 60 კაცი და დაიჭრა 600-ზე მეტი. სამხედრო ხელისუფალთა მიერ 396 მეზღვაური გაგზავნილ იქნა მულუნდის საკონცენტრაციო ბანაკში.

ამრიგად, 1946 წელს მომხდარი აჯანყება, რომელიც ფლოტის, არმიისა და სახალხო მოძრაობის შეერთებით ხასიათდებოდა, ისტორიულად შემობრუნების პუნქტი გახდა ინდოეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ინდოეთში ბრიტანეთის ბატონობა შეირყა, პოლიტიკური კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა. კოლონიზატორებისა და ყველა შემთხვევაში ბურჟუების პარტიების პასიკური დაბნეულობა მთელი ხალხის წინაშე გამოაშკარავდა. მწიფდებოდა რევოლუციური სიტუაცია. ავსტრალიის კომპარტიის თეორიული ჟურნალი „კომუნისტ რევიუ“ მართებულად შენიშნავდა: „ინდოეთის ხალხმა დაიხახა და შეიგნო, რომ ახლა იმპერიალიზმს ძველებურად აღარ შეუძლია ქვეყნის მართვა. გლეხობას სურს მიწები, მუშებს — ბრძოლა თავისი უფლებებისათვის, და მთელმა ხალხმა იცის, რომ იგი თავისუფალი უნდა იყოს“. ყოველივე ეს მოასწავებდა რევოლუციის დასაწყისს ან, ყოველ შემთხვევაში, მის მოახლოებას.

ინდოეთში ხალხის მასობრივ დახვრეტას, დამსჯელ ექსპედიციებსა და ძარცვას არ შეეძლო დაეცხრო ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სურვილი.

ინდოეთის რევოლუციური ბრძოლით დაშინებული ინგლელი იმპერიალისტები მიმართავდნენ მანევრირებას, დაპირებებით სურდათ შეესუსტებინათ სახალხო მოძრაობის ტალღა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრმა გაქანებამ აიძულა დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეები 1947 წლის 15 აგვისტოს დომინიონის სტატუტი მიეცათ ინდოეთისათვის, ხოლო 1950 წლის 26 იანვარს ეცნოთ მისი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადება.

ინდოეთი ეკონომიურად და პოლიტიკური თვალსაზრისითაც ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. ამიტომ მუშათა მასობრივი მოძრაობა არა შემთხვევით, არამედ გარდუვალად წარმოშობდა ბურჟუაზიულ, შემთანხმებლურ მიმდინარეობას ამ მოძრაობაში. რევოლუციური სიტუაციით დაშინებული ინდოეთის მსხვილი ბურჟუაზია მზად იყო კომპრომისზე წასულიყო ბრიტანეთის იმპერიალიზმთან. ცხადია, ბურჟუაზიული პარტიების გავლენის ქვეშ მოქცეული მუშათა კლასის ჩამორჩენილ ფენებსა და გლეხთა მილიონებს კიდევ სჯეროდათ ბურჟუაზიის ლოზუნგებისა. მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთის კომუნისტური პარტია განუხრელად იბრძოდა ერთიანი სახალხო ფრონტის შექმნისა და მოძრაობის ჰეგემონობისათვის, ხშირ შემთხვევაში მოძრაობის სათავეში მაინც ბურჟუაზია რჩებოდა. ამ გარემოებამ თავისი დაღი დასვა ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

როგორც ცნობილია, პარტია ინდოეთის ნაციონალური კონგრესი, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაში, მაგრამ ფაქტია, რომ იგი ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესების დამცველია. ამ პარტიის ერთ-ერთი იდეოლოგოგანი ჯ. ნერუ აღიარებს: „ჩემი პოლიტიკური შეხედულებანი ჩემი კლასის, ბურჟუაზიის შეხედულებებია“.

ინდოეთის მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მის წიაღამე გადაუდებლად დაისახა თანამედროვე განვითარების მნიშვნელოვანი ამოცანები: ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, აგრარული პრობლემა, კულტურისა და განათლების საკითხები. ინდოეთის წინაშე ჯერ კიდევ დგას კოლონიური ქაოსიდან თავის დაღწევის ამოცანა. მის ეკონომიკაში ძლიერი პოზიციები უკავიათ უცხოეთის მონოპოლისტებს. იმპერიალისტურ კომპანიებს ყოველწლიურად ინდოეთიდან დან მოგების სახით 300 მილიონამდე რუპია გაიქვთ. ჯ. ნერუ მოსწრებულად შენიშნავს, რომ „იმის შემდეგაც კი, როდესაც ქვეყანა დამოუკიდებელი ხდება, შეიძლება იგი ეკონომიურად სხვა ქვეყნებზე დამოკიდებული დარჩეს“.

კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებული ინდოელი ხალხი დაბეჯითებით ეძებს ქვეყნის განვითარების საკუთარ გზას.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ერთა თვითგამორკვევის ლენინური პრინციპისადმი ერთგული საბჭოთა ხალხი მხურვალედ მიესალმება ინდოეთის სუვერენიტეტის მოპოვებას. სულ უფრო აფართოებს მასთან მეგობრულ კავშირს. ეხმარება მას დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში.

ინდოეთი ჩვენი სამშობლოს დიდი და ერთგული მეგობარია. იგი ენერგიულად იბრძვის მშვიდობის დასაცავად. საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხებს შორის მეგობრობა და თანამშრომლობა მშვიდობის უდიდესი ფაქტორია. ხოლო ამჟამად ყაცობრიობის მნიშვნელოვანი ამოცანაა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება.

მშვიდობისა და თავისუფლებისმოყვარე მსოფლიო საზოგადოებრიობას სჯერა დიდი ისტორიული წარსულის მქონე ინდოელი ხალხის ნათელი მომავალი.

**აკ. მეტრეველი,**
**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

## „ნამდვილი სრულყოფა“

### კანადის გაზეთები მონრეალში „ბერიოზკის“ ანსამბლის გამოსვლების შესახებ

**ოტავა**, 22 იანვარი. (საკდესი). კანადის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლის „ბერიოზკის“ პირველ გამოსვლას, რომელიც მონრეალში გაიმართა 20 იანვარს.

გაზეთი „მონრეალ სტარი“ წერს, რომ ანსამბლ „ბერიოზკის“ გამოსვლა უეჭველად იყო „ყველაზე თვალსაჩინო წარმოდგენა, როგორიც კი ქალაქს უნახავს შას შემდეგ, რაც აქ მოისეეკის ანსამბლის მოცეკვავეები იყვნენ. და, რა თქმა უნდა, — „განაგრძობს გაზეთი, — იგი უბადლო იქნება, სანამ აქ არ ჩამოვა დიდი თეატრის ბალეტი“.

მეორე გაზეთი „ლა პრესი“ ვრცელ სტატიაში აღნიშნავს, რომ „რუსულმა დასმა მოხიბლა“ მონრეალი. ხაზგასმით აღნიშნავს რა ანსამბლის დიდ ოსტატობას, გაზეთი წერს: „ანსამბლ „ბერიოზკის“ გამოსვლა, რომელიც რუსული ხალხური ცეკვებისაგან შედგება, ნამდვილ სრულყოფას წარმოადგენს. ეს შეთანხმებული მოძრაობა ფერად კოსტიუმებთან შეხამებით ქმნის დასამახსოვრებელ პლასტიკურ სახეებს“.

ანსამბლი „ბერიოზკა“ მონრეალში გამართავს კიდევ 3 კონცერტს, რომელთა ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია.

23 იანვარს საჭადრაკო ჩემპიონატის მონაწილეები ისვენებდნენ. ამ დღეს ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილი გროსმაისტერები და ოსტატები მიწვეულნი იყვნენ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, კომპოზიტორ ა. მაჰავარიანის ბალეტ „ოტელოზე“.

**სურათზე:** ვ. ჭაბუკიანისა და სპექტაკლის სხვა მონაწილეთა შეხვედრა მ. ჭადრაკეებთან.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

* * *

## ფინეთის მთავრობა დიდი კმაყოფილებით მიესალმება სსრ კავშირის მთავრობის წინადადებას.

**ჰელსინკი.** (საკდესი). ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ სსრ კავშირში ფინეთის საელჩოს მრჩეველმა ჰ. სუომელამ 21 იანვარს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ვ. ა. ზორინს გადასცა ფინეთის მთავრობის პასუხი საბჭოთა მთავრობის ამა წლის 10 იანვრის ნოტაზე გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ. ფინეთის მთავრობის პასუხში ნათქვამია:

ფინეთის მთავრობა გულდასმით გაეცნო 10 იანვრის ნოტას, რომელიც საბჭოთა კავშირის მთავრობამ გამოუგზავნა მას, აგრეთვე გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დართული აქვს ნოტას.

ფინეთის მთავრობა აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობის წინადადება მიზნად ისახავს ევროპის მშვიდობის განმტკიცებას, და დიდი კმაყოფილებით მიესალმება ამ მისწრაფებას. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების უქონლობა ნიშნავს არაბუნებრივ მდგომარეობას და ართულებს ვითარებას ევროპაში. ფინეთის მთავრობა დარწმუნებულია, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება სტაბილურს გახდიდა პირობებს ევროპაში და განუმტკიცებდა ევროპის ხალხებს რწმენას, რომ მათ შეუძლიათ უშიშრად და დაუბრკოლებლად მოახმარონ თავიანთი ძალღონე მშვიდობიან ამოცანებს.

ითვალისწინებს რა მშვიდობის უზრუნველყოფისათვის პირობების სტაბილიზაციის დიდ მნიშვნელობას, ფინეთის მთავრობა მხარს უჭერს მისწრაფებებს, რომელთა მიზანია ამ პირობების სტაბილიზაცია. ამრიგად, ფინეთის მთავრობა, თავის მხრივ, მზად არის ხელი შეუწყოს იმას, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობის ნოტაში გათვალისწინებულ საზავო კონფერენციას შეეძლოს წარმატებით გაართვას თავი პასუხსაგებ ამოცანას.

ახლანდელ პერიოდში ფინეთის მთავრობას არ მიაჩნია მიზანშეწონილად შეეხოს საზავო ხელშეკრულების მითითებებს, რადგან ამ საკითხში, ისე როგორც სხვა საკითხებში, რომლებიც საზავო კონფერენციას შეეხება, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება იმ ურთიერთგაგებას, რომელიც მიღწეულ იქნება ოთხ უმნიშვნელოვანეს მოკავშირე სახელმწიფოს შორის, რომლებიც გერმანიის წინააღმდეგ იბრძოდნენ მეორე მსოფლიო ომის დროს.

## საჩუქარი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის

**ჰანოი**, 23 იანვარი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოფნის დროს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ოტო გროტევოლმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისაგან საჩუქრად გადასცა მოძრავი ჰოსპიტლის მოწყობილობა, მათ შორის რენტგენის აპარატები, სასწრაფო დახმარების სამი ავტომობილი და სხვ.

## „XXVI საქართველო ჩემპიონატი“

### მეცხრე ტური

გუშინ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე განლაგებულ საჭადრაკო მაგიდებს კვლავ მიუსხდა 10 წყვილი.

ლენინგრადელმა ახალგაზრდა გროსმაისტერმა ბ. სპასკიმ, რომელიც ამ დღეს თეორებით თამაშობდა ვილნიუსის ჩემპიონ რ. ხოლმოვთან, შეხვედრა ყაიმით დაამთავრა.

მწვავედ განვითარდა ორი ახალგაზრდა მოჭადრაკის მოსკოველ ე. ვასიუკოვისა და ლ. პოლუგაევსკის პარტია. მოწინააღმდეგეებმა აირჩიეს თამაშის გეგმა ცენტრში პოზიციის ჩაკეტვით. ე. ვასიუკოვმა დაიწყო იერიში მეფის ფლანგზე, ხოლო ლ. პოლუგაევსკიმ ლაზიერის ფრთაზე.

შეიქმნა ისეთი პოზიცია, სადაც არც ერთ მხარეს არ შეეძლო წარმატების მიღწევა. ხვლათა განმეორებით ფიქსირებულ იქნა ყაიმი.

ამავე ტურში ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ე. გუფელდ — ბ. კერესის პარტია.

მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იდგა რ. ნეიმეტდინოვისა და მ. ტალის შეხვედრა. სსრ კავშირის ჩემპიონმა გათამაშების ცხრილში მეტად საჭირო ქულა ჩაიწერა.

გრიუნფელდის დაცვის წინააღმდეგ გროსმაისტერმა ტ. პეტროსიანმა ნ. კროგიუსთან ახალი საინტერესო გაგრძელება გაითამაშა. ტ. პეტროსიანმა მთელი ძალები გადაისროლა ლაზიერის ფრთაზე და ხელთ იგდო ინიციატივა. მალე ნ. კროგიუსმა ბრძოლის გაგრძელება უიმედოდ ცნო და მოწინააღმდეგეს გამარჯვება მიულოცა.

ხანგრძლივი იყო ორთაბრძოლა ს. ფუმბან — მ. ტაიმანოვისა და ი. ავერბახ — ა. ლუტიკოვის პარტიებში, მაგრამ ხაბოლოო ჯამში სვლათა განმეორებით შედეგი ამ პარტიებში ყაიმი აღმოჩნდა.

თბილისელ ჭადრაკის მოყვარულთა ყურადღება სხვებთან ერთად მიპყრობილი იყო ბ. გურგენიძისა და ი. იუტმანის პარტიაზე, რომელიც 41-ე სვლაზე გადაიდო. ბ. გურგენიძისათვის უკეთეს მდგომარეობაში.

ამ დღეს დაუმთავრებელი დარჩა აგრეთვე დ. ბრონშტეინ — ე. გვლერისა და ა. ნიკიტინ — ვ. კორ. ჩნოის პარტიები.

დღეს გაიმართება მე-10 ტური.

**ა. ფალავანდიშვილი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

## ფულისა და ნივთების ახალი ლატარია

1959 წელს თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში გათამაშდება საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ახალი ლატარია. ლატარიის ბილეთები იყოფა ოთხ გამოშვებად, თვითეულ გამოშვებაში იქნება მოგებათა დამოუკიდებელი ტირაჟი. პირველი გამოშვების ტირაჟი გაიმართება 15 აპრილს ქალაქ თბილისში, მეორე გამოშვებისა — 30 ივნისს ქალაქ ქუთაისში, მესამე გამოშვებისა — 15 სექტემბერს ქალაქ ბათუმში, მეოთხე გამოშვებისა — 15 ნოემბერს ქალაქ სოხუმში. თვითეული ბილეთის ღირებულებაა 3 მანეთი. 1959 წლის ფულისა და ნივთების ლატარიის საერთო თანხა განსაზღვრულია 18 მილიონი მანეთით. მოგებათა საერთო თანხა შეადგენს გამოშვებული ლატარიის ბილეთების მთელი თანხის ნახევარს — 9 მილიონ მანეთს.

გათამაშდება ერთი ავტომანქანა „ვოლგა“, 3 ავტომანქანა „მოსკვიჩი“, ორი საწოლის გარნიტური, ხუთი მოტოციკლი იჟ-56, 5 პიანინო, 30 მაცივარი, 25 ტელევიზორი „რეკორდი“, 25 სარეცხი მანქანა, 25 ხელის საკერავი მანქანა, ბევრი მაჯის საათი ოქროს ბეჭედი, მტვერსასრუტები, სკამები, საწოლები, აგრეთვე ფულადი მოგება 50-დან 5 ათას მანეთამდე. (საკდესი).

## ტელეფონოგრამა

**სამშაბათს, 27 იანვარს, დღის 2 საათზე ტყიბულის რაიონის ორპირის სასოფლო საბჭოში მოწვეულია მუშსოფლ კორთა და ძირეული პრესის მუშაკთა თათბირი თემაზე: „მზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის და მუშსოფლკორთა ამოცანები“.**

**27 იანვარს დღის 2 საათზე ბათუმის რაიონის ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში მოწყობა სოფლ კორებთან და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრებთან გასაუბრება თემაზე: „სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობა ახალ შვიდწლედში და სოფლკორთა ამოცანები“.**

**რედაქტორი**
**დ. მჰედლიშვილი**


**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

სამშაბათს, 27 იანვარს მე-12 აბონ. მე-5 წარმოდგენა
ჯ. ვერდი
**რიგოლეტო**

ოთხშაბათს, 28 იანვარს მე-6 აბონ. მე-5 წარმოდგენა
ვახტანგ ჭაბუკიანის მონაწილეობით
ა. მაჰავარიანი
**ოტელო**

ხუთშაბათს, 29 იანვარს მე-10 აბონ. მე-5 წარმოდგენა
ზ. ფალიაშვილი
**დაისი**

პარასკევს, 30 იანვარს მე-8 აბონ. მე-5 წარმოდგენა
ბ. ასაფიევი
**ბალჩისარაის შადრევანი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.



**დაიწყო ხელმოწერა 1959 წლისათვის ახალ** სამეცნიერო-საწარმოო პოპულარულ ჟურნალზე **„საქართველოს ბუნება“** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს და სრულიად საქართველოს ბუნების დაცვის ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანო.

ჟურნალი გამოვა თბილისში ორ თვეში ერთხელ, ქართულ და რუსულ ენებზე. წლიწადში ხელმოწერით ღირს 18 მანეთი.

**„სოიუზპეჩატი“**


## ოპერისა და ბალეტის

**ოპერისა და ბალეტის** — წითელ ქუჩა (დღისით მე-5 აბონ. მე-2 წარმოდგენა), კარმენ (საღამოს მე-15 აბონ. მე-2 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის** — ამბავი სიყვარულისა (დღისით), **მარჯანიშვილის სახელობის** — სამსახეობა ინდოსა (დღისით), მარინე (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — სიხარული ძიებაში (დღისით) ლენინსმობილი მართა (საღამოს), **სომხური დრამის** — ხათაბალა (დღისით), ერთ ქერქეშ (საღამოს), **სანკულტურის** — მსხვერპლი (საღამოს), **რკინიგზის სახლი** — ალეკო (მუსიკალური კომედიის თეატრის წარმოდგენა), **მოზარდ მაყურებელთა ქალაქთული** — სინდისის ქისა (აბონ. № 22, 12 ს.), შავი ბიჭი (აბონ. № 12, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ბედი საკუთრებული დავალება (11 ს., 3 ს.).

* * *

**რუსთაველის სახელობის, ოქტომბერ-ბოლშევიკის სახელობის კლუბი** — ... ბუნა, **ამირანი, ისანი, თბილისი, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, საქართველო** (წითელი დარბაზი) — საღამოს ... ზვერია, **სპარტაკი** — თოლიები ... გურში კვდებიან, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — ასე ცხოვრება ... მღერა, **კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — საკონცერტოსათვის, **ყაზბეგი** — მამლები, **კოლხიდა** — იდიოტი.

# ყოველი მხრიდან

## საბჭოთა კავშირ-უნგრეთის კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობა

16-22 იანვარს მოსკოვში მიმდინარეობდა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის საკითხებზე.

გასული წლის გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავებულია და 22 იანვარს ხელმოწერილია გეგმა კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის 1959 წლისათვის. მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირში საგასტროლოდ ჩამოვლენ მთელი რიგი წამყვანი უნგრული სოლისტები. ბუდაპეშტის ი. ატილას სახელობის თეატრი ლვოვში, მუკაჩოვოსა და უგეროდში უჩვენებს თანამედროვე უნგრულ პიესას „ახვეული თვალით“. უნგრეთში საგასტროლოდ გაემგზავრებიან სრულიად საკავშირო რადიოს სიმფონიური ორკესტრი და ვენაში ახალგაზრდობის VII მსოფლიო ფესტივალის ერთ-ერთი მონაწილე კოლექტივი. (საკდესი).

## ბერლინი

### საბჭოთა-გერმანიის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გაფართოების სხდომა

**ბერლინი**, 23 იანვარი. (საკდესი). ბერლინში გაიმართა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის კაფარო ფეხული სხდომა, რომელზეც განიხილეს საზოგადოების ამოცანები გერმანიის მშვიდობიანი მომავლისათვის ბრძოლაში. მოხსენება გააკეთა ცენტრალური გამგეობის სამდივნოს თავმჯდომარემ ფ. ბოილენგმა, რომელმაც აღნიშნა საბჭოთა კავშირის წინადადებათა მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა, რომელთა მიზანია ბერლინის საკითხის გადაჭრა, აგრეთვე გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტისა, რომელიც საბჭოთა მთავრობამ შეიტანა.

სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომელშიც საზოგადოების ცენტრალური გამგეობა მიესალმება საზავო ხელშეკრულების საბჭოთა პროექტს, რომელიც სახავს მშვიდობის რეალურ პერსპექტივას. გამგეობამ მოუწოდა საზოგადოების ყველა წევრს ხელი შეუწყონ იმას, რომ ეს პროექტი გაიცნოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის ყველა ფენამ.

## ...ინც რა უნდა თქვას, დიდი წოდება კაცის ღირსება ნუ გეგონება, ...ირსებად მითქვამს პატიოსნება და გამჭრიახი ჭკუა-გონება.

ექსპრომტის ოსტატი ბერნსი ხშირად ზეპირად გამოსთქვამდა მწვავე ეპიგრამებს, რომლებიც მჩაგვრელთა წინააღმდეგ იყო მიმართული.

მართლაც, იგი ედინბურგში მალე დაიმოწყეს. მთავრობამ შენიშნა მისი თავისუფალი აზროვნება. უფრო მეტიც: ბერნსი შენიშნული იყო, როგორც შოტლანდიის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა თანამგრძნობი. ინგლისის მიერ დაპყრობილი შოტლანდია ბერნსის პოეზიაში მართლაც დიდი სიყვარულით იხსენიებოდა. ბერნსი იგონებდა შოტლანდიის ისტორიულ გმირებს, — ბრიუსსა და უოლეს, უმღეროდა მათ უშიშროებას და შეუპოვრობას, ადიდებდა რევოლუციურ საფრანგეთში ამოსულ „თავისუფლების ხეს“ და ნატრობდა ოდესმე, ეს ხე თავისი სამშობლოს ნიადაგზეც ენახა.

ბერნსმა ბოლოსდაბოლოს მაინც შეირთო ცოლად ჯინ არმორი, ეყოლა ბავშვები და კვლავ დაიწყო დაუსრულებელი და უთანასწორო ბრძოლა არსებობისათვის. ჯერ ფერმერობა განაგრძო, შემდეგ წვრილ მოხელედ დადგა. ქალაქ დამფრიზში. ფრანგ რევოლუციონერთათვის დახმარების გამო ბერნსი „არაკეთილსაიმედოთა“ სიაში მოხვდა და თავისი თანამდებობა სამუდამოდ დაკარგა. ავადმყოფობამ და სიღატაკემ საბოლოოდ დარია ხელი. იგი 1796 წლის 21 ივლისს გარდაიცვალა.

ბერნსის შემოქმედების მთავარი თემა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. მაგრამ ბერნსი არანაკლებ ეშრომდა ეროვნულ ჩაგვრას, რომელსაც მისი მშობელი ხალხი განიცდიდა. განსაკუთრებული სიყვარულით წერდა იგი უბრალო ადამიანთა ყოფაცხოვრებასა, სიხარულსა და სიყვარულზე. მისი ოპტიმიზმი და სიცოცხლის სიხარული ვერ დასძლია განუწყვეტელმა ბრძოლამ ლუკმა-პურისათვის. ცხოვრებისათვის მძიმე ბრძოლაში მან შეინარჩუნა არა მარტო პატიოსნება და კეთილშობილება, არამედ თავისი მაღალი იდეალებიც და შინაგანი მთლიანობაც, რომელიც ადამიანის გონებისა და გრძნობის სრულ ურთიერთ თანხმობას ემყარებოდა. თუ ბურჟუაზიული პურიტანიზმი მშრალ და თვალთმაქცურ „სულიერ სრულყოფას“ ქადაგებდა, ხოლო არისტოკრატიული ცინიზმი — შიშველ აღვირახსნილობასა და ხორციელ ტკბობას, ხალხურ პოზიციაზე მდგარმა რობერტ ბერნსმა დასძლია „სულისა“ და „ხორცის“ ეს სოციალური კონფლიქტი და წამოაყენა ჰუმანისტური იდეალი ადამიანის სულიერ და ხორციელ მოთხოვნილებათა ერთიანობისა. ამას მან უწოდა „ბუნების საზოგადოებრივი ერთიანობა“ და მასში იგულისხმა ადამიანის შრომა და ცხოვრებისათვის ბრძოლა, ამქვეყნიური ცხოვრების სიხარულში შეთანხმებული. ამიტომაც შეიყვარა ბერნსის პოეზია ჯერ მისმა მშობელმა ხალხმა და შემდეგ მთელმა კაცობრიობამ.

საყურადღებოა, რომ მიუხედავად არსებითი სხვაობისა და ერთმანეთისაგან სრული დამოუკიდებლობისა, რობერტ ბერნსს ბევრი რამ საერთო აქვს ჩვენს ვაჟა-ფშაველასთან. ეს შეიძლება იყოს სოციალური და ეროვნული ჩაგვრის თემატიკა თუ „სულიერ ქურაში“ ნაწრთობი ხალხური სტყვა. ამიტომაც, შეიძლება, ქართველი მკითხველისათვის განსაკუთრებით ორგანულად გასაგები იყოს და გულთან ახლოს მისატანი ის საგალობელი, რომელიც ბერნსმა თავისი საყვარელი შოტლანდიის მთებს უმღერა:

**გული მთებისკენ მიიწევს,**
**სტოვებს დაბლობის პირებს,**
**გული მთებისკენ მიიწევს,**
**დაედევნება ირემს,**
**დაედევნება მთის ირემს,**
**უნდა კვალდაკვალ მიჰყვეს.**
**გული მთებისკენ მიიწევს,**
**სადაც არ უნდა ვიყვე.**

**გივი გაჩეჩილაძე.**